საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკარტისიბაგე ესაძაგლესია.

ხუთშაბათი-კვირა, 27-30 ოქტომბერი. 2022 წ. №167 (9505) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

უკრაინის ხელისუფლება ერთმილიონიანი ჯარით გვემუქრება!

4

ეს არესტოვიჩია, თუ ვიღაც ტოვიჩი, მისი ბოლო განცხადება რას ნიშნავს, რომ თურმე უკრაინელებს 1-მილიონიანი ჯარი ჰყავთ და მათ საქმეს გამოუჩენს, რომ საქართველოში, მოლდოვაში, სომხეთსა და მთლიან პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიჭრან და მოაშორონ, მათი წარმოდგენით, უვარგისი ხელისუფლება, ანუ მათი მაფიოზური კლანისთვის მიუღებელი ხელისუფლებები ჩამოაშორონ მმართველობას.

ასეთი უსამართლობით თვით უკრაინას შეურაცხყოფთ, ამხანაგო ვოლოდიმირ!

3

რუსეთის აგრესიისგან სასოწარკვეთილმა უკრაინამ და მისმა პრეზიდენტმა ნაცისტური ხასიათი კიდევ ერთხელ გამოავლინა...

ვანდალიზმი, რომელსაც დივერსიის სუნი უდის!..

6

2

KIUINNOVATE-ის პირველი ბიზნეს ფორუმი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში

რას ცვლის კიევის მიერ ივანიშვილის ახლო ნათესავების სანქცირება?

5

2

როცა კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია!

2027 წლისთვის ჩინეთის არმია მსოფლიოში უძლიერესი იქნება!

9

პრეზიდენტმა ბერძენ ხელოვნებს უმასპინძლა

12

7

სრულიად საქართველოს ტყემალაძეთა საგვარეულო

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით უნგრეთს ეწვია

ვიზიტის ფარგლებში, მთავრობის მეთაური უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მალალი დონის შეხვედრებს მართავს.

პრემიერი დაესწრება სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომას. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ბუქარესტში მიიწვიეს

ბუქარესტში დაგეგმილ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა მიიწვიეს. ინფორმაციას რუმინული მედია ავრცელებს.

შეხვედრაზე დაგეგმილია მადრიდში ნატოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის, უკრაინაში მიმდინარე ომის, ენერგოუსაფრთხოებისა და პარტნიორებთან ურთიერთობის საკითხების განხილვა.

ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი სწორედ რუმინეთის დედაქალაქში 29 და 30 ნოემბერს გაიმართება. ეს იქნება პირველი მსგავსი დონის შეხვედრა, რომელსაც ნატო ბუქარესტში, 2008 წლის სამიტის შემდეგ ჩაატარებს.

ნიკოლოზ ხატიაშვილი: ვფიქრობ, მინისტერიალზე მიწვევა ძალიან კარგია!..

ანალიტიკური ცენტრი „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მკვლევარმა და საერთაშორისო მდივანმა, **ნიკოლოზ ხატიაშვილმა** ნატოს მინისტერიალზე საქართველოს მიწვევა შეაფასა.

„საქართველოს, როგორც ალიანსის არაწევრი ქვეყნის მიწვევა მინისტერიალზე არის ნატოს მხრიდან თავისი სტრატეგიული მიზნის გამოვლინება, რაც ერთი მხრივ გამოხატავს ნატოსთვის ჩვენი რეგიონის მნიშვნელობას უსაფრთხოების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ ეს არის მკაფიო გზავნილი თუ რამდენად ახლოს არის საქართველო ნატოსთან და იგი აღიქმება, ნატოს მტკიცე და ერთგულ პარტნიორად“, — აღნიშნავს ნიკოლოზ ხატიაშვილი.

მისი თვალსაზრისით, ხაზგასასმელია, რომ საქართველო უკრაინა და მოლდოვა ერთად მიიწვიეს მინისტერიალზე, რადგან სამივე ქვეყანა საერთო გამოწვევების წინაშე დგას.

საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა დასრულდა

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფმა, რომელიც ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით შეიქმნა, შემაჯამებელი სხდომა გამართა.

სხდომაზე წარდგენილი იყო ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებასთან დაკავშირებით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები.

„ჯგუფის სამუშაო პროცესი წარიმართა ღიად და გამჭვირვალედ, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით.

ჩვენ შესაბამის პოზიციებს გავუკეთეთ ანალიზი და შედეგად, დღეს ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებასთან დაკავშირებით კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები წარვადგინეთ. დღესვე, ეს ცვლილებები წარედგინება იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რათა აღნიშნული ცვლილებების კომიტეტის სახელით დაინიცირებაზე თანხმობა მივიღოთ“, — განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ანრი ოხანაშვილმა.

მისი თქმით, ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებასთან დაკავშირებით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბერს უკვე მიღებული იქნება, როგორც ეს გეგმაში იყო გაწერილი.

ალუდა ღუდუშაური: ესენი არიან უქნარები, არჩევნებამდე ვერც კი მიატანენ

მმართველი გუნდის წევრი ალუდა ღუდუშაური გამოეხმაურა ოპოზიციის კრიტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებით ხელისუფლება პრობლემის გადაწყვეტას არ აპირებს და აუცილებელია ოპოზიციის მიერ დარეგისტრირებული კანონმდებლობა განიხილონ ამ მიმართულებით.

ღუდუშაური ოპოზიციას უქნარებს უწოდებს და ამბობს, რომ ისინი უბრალოდ, კარვებიდან გამოვიდნენ და ახლა არიან კარგად, კომფორტულად წამოგორებული მხარ-თეძოზე:

„ყველას ექნება შესაძლებლობა, არა პოლიტიკური კეკლუცობით გამოიჩინოს თავი, არამედ არგუმენტები მოიტანოს და დაალაგოს მაგიდაზე. ყველა პუნქტთან მიმართებით ასეთი დამოკიდებულება აქვს ოპოზიციას. წამოწოლილები არიან მხარ-თეძოზე, უბრალოდ, კარვებიდან გამოვიდნენ და აკეთებენ იმ განცხადებებს, რომელიც არც ქვეყნის და არც საზოგადოების ინტერესშია.

ეს არის ჰაერიდან მოტანილი, ესენი არიან ზარმაცები, ესენი არიან, უქნარები. ვხედავთ, დღიდან დღემდე მათი რეიტინგი როგორ ილევა. ალბათ, 2024 წლის არჩევნებამდე საერთოდ ვერც კი მიატანენ“, — აცხადებს ალუდა ღუდუშაური.

როცა კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია!

იძმნება ახალი სინამდვილე და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ, — თქვა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თბილისში თავისი დაუანონსებელი ვიზიტისას, როდესაც კონკრეტულ ეკონომიკურ პროექტებზე ამახვილებდა ყურადღებას. ამ კონტექსტში ახსენა მან, მათ შრის, ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის გაძლიერება და ამ მიზნით კაპიტალის გამოყოფა, საქართველოს პორტების გამოყენება ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის სატვირთო გადაზიდვებისთვის; სატრანსპორტო მიმართულებით მჭიდრო თანამშრომლობა და „შეხმატკბილებული, ერთიანი ძალისხმევა“.

მას შემდეგ, რაც უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთი უპრეცედენტო სანქციების ქვეშ აღმოჩნდა, ხოლო დასავლეთი ალტერნატიული და საიმედო მარშრუტების ძებნას შეუდგა, პროცესზე დამკვირვებლები ინტენსიურად საუბრობდნენ ამ ახალი შესაძლებლობებისთვის საქართველოს ინფრასტრუქტურულად მომზადების აუცილებლობაზე, რათა სატრანზიტო ქვეყანამ მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი ფუნქციის რეალიზება და ისარგებლოს ბენეფიტით, რომელსაც გეოპოლიტიკური გარემო და თავისი გეოგრაფიული მდებარეობა სთავაზობს. საკითხი აქტუალურია ამჟამადაც. მაგალითად, ექსპერტთა ნაწილი, მათ შორის, ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე პლატფორმის Hub Georgia-ს წევრი **დათო გოჩავა** მიიჩნევს, რომ ქვეყნის ინფრასტრუქტურა ამჟამად გახსნილ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ პასუხობს.

„ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზაზე მშენებლობა დასრულებული არ არის, შუქნიშნები არ ფუნქციონირებს. თავად ახალქალაქის სადგური კეთილმოწყობილი არაა — დატვირთვის სამუშაოები თანამედროვე დონეზე არაა მექანიზებული. გარდა ამისა, ყველა პორტში არის სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, მაგრამ მათი მუშაობის ტექნოლოგიური პროცესი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელია. ეს არაა მარტივი პროცესი: სარკინიგზო სადგურების პორტებში მუშაობის ტექნოლოგიურ პროცესზე საბჭოთა კავშირის დროს მუშაობდნენ მეცნიერები მოსკოვში, ხდებოდა, მათ შორის, ტექნიკური ნორმების ჩამოყალიბება, რომელსაც შემდეგ გვიგზავნიდნენ და ჩვენ მათ ვასრულებდით. ადგილზე ამ მიმართულებით მეცნიერული შრომა არ მიმდინარეობს, რადგან დარგი მას არ აფინანსებს, შესაბამისად, დაინტერესებაც ნაკლებია.

ჯამში ეს ყველაფერი ჩვენი სატრანზიტო დერეფნის ეფექტიანობას ამცირებს.გარდა ამისა, პრობლემაა, კორპორაციული კულტურა. კომპანია თუ კომერციულ საწყისებზე არ მუშაობს, მისი ეფექტიანობა ნებისმიერ შემთხვევაში ეცემა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს რკინიგზა მომხმარებელზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ არაოფიციალურ ურთიერთობებზე. მაგალითად, მიდიხართ რკინიგზაში, სატარიფო პოლიტიკაში მითითებულია კონკრეტული ფასი, აკეთებთ განაცხადს ტვირთის გადაზიდვაზე, მაგრამ საქართველოს რკინიგზაში გეუბნებიან ვის უნდა მიმართოთ და გაძლევენ საკონტაქტო ნომერს.

თქვენ ამ პირს უნდა დაუკავშირდეთ, რომ საქართველოს რკინიგზაზე განახორციელოთ გადაზიდვები და ჯამში ორმაგის გადახდაც გიწევთ. ამ პირობებში კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია და ცხადია, ამგვარი მიდგომა რკინიგზის ეფექტურობას ამცირებს (მსგავსი პოლიტიკის არსებობას საქართველოს რკინიგზაში უარყოფენ — რედ.)“, — აღნიშნავს **„აქცენტთან“** გოჩავა.

იხ. 11 გვ.

KIUINNOVATE-ის პირველი ბიზნეს ფორუმი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამართული KIUInnovate-ის პირველი ბიზნეს ფორუმი გახსნა.

მიხეილ ჩხენკელმა ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და საქართველოში ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების საქმეში განათლების სისტემის მეგა-პროექტის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მნიშვნელოვან როლზე გაამახვილა ყურადღება.

„მაქვს პატივი მოგმართოთ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პირველ ბიზნეს ფორუმზე, რომელიც ეძღვნება უნივერსიტეტების მესამე მისიას. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ესოდენ პრესტიჟული და მასშტაბური ფორუმი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში იმართება.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის იდეისა და კონცეფციის ავტორის, ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შედეგად საქართველოს მთავარი მეგა-პროექტი რეალობად იქცა და დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, ევროპული სტანდარტების მქონე უნივერსიტეტში ვუმასპინძლოთ წამყვან მეცნიერებს, გამოჩენილ მკვლევრებს, განათლების ექსპერტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიების ხელმძღვანელებს მთელი მსოფლიოდან.

თანამედროვე ეპოქაში უნივერსიტეტები, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების გზით, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკურ ზრდას.

იხ. 6 გვ.

ასეთი უსამართლობით თვით უკრაინას შეურაცხყოფთ, ამხანაგო ვოლოდიმირ!

„სანქცირებულთა სია უშიშროების საბჭომ მოამზადა, რომლის ხელმძღვანელი ის დანილოვია, რომელიც მოგვიწოდებდა ომში ჩართვისკენ და ეს არის მათი პასუხი ჩვენს უარზე“...

რუსეთის აგრესიისგან სასოწარკვეთილმა უკრაინამ და მისმა პრეზიდენტმა ნაცისტური ხასიათი კიდევ ერთხელ გამოავლინა...

უკრაინის ხელისუფლებამ **ბიძინა ივანიშვილის** ოჯახის წევრებს სანქციები დაუწესა.

საერთო ჯამში, სანქციები შეეხო 3 800 ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დასანქცირებულ პირთა შორის არიან უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი **ვიქტორ იანუკოვიჩი,** თავდაცვის ყოფილი მინისტრი **პაველ ლებედევი,** ასევე ოლიგარქები **სერგეი კურჩენკო** და **ოლეგ დერიპასკა.** სანქცირებულთა შორის არიან რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის შვილი და ბიზნესმენი რომან აბრამოვიჩი.

სანქციები ითვალისწინებს სიაში მოხვედრილი პირების აქტივების გაყინვას, ანუ ისინი დროებით ვერ შეძლებენ საკუთარი ქონების გამოყენებასა და განკარგვას, ასევე იმ ქონების განკარგვასაც, რომელსაც ისინი ირიბად ფლობენ. ასევე სანქციები გულისხმობს აქტივების ბლოკირებას, სავაჭრო ოპერაციების, უკრაინის ტერიტორიაზე რესურსების, ფრენების და ტრანსპორტირების ტრანზიტის შეზღუდვას, უკრაინის ფარგლებს გარეთ კაპიტალის გატანის პრევენციას, ეკონომიკური და ფინანსური ვალდებულებების შეჩერებას, ლიცენზიებისა და სხვა ნებართვების გაუქმებას ან შეჩერებას, უკრაინის ეროვნული ბანკის ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის აკრძალვას, უკრაინის სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევას, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეძენის აკრძალვას.

თავის მხრივ, უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა აცნობოს ევროკავშირის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებს სანქციების გამოყენების შესახებ და დააყენოს მათთან მსგავსი შემზღუდავი ზომების შემოღების საკითხი.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ უკრაინის უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილება მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ არგუმენტაციას და წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკურ სპეკულაციას. ასე არ ფიქრობენ ოპოზიციაში და აქვთ მოლოდინი, რომ ანალოგიურ სიას მალე დასავლეთიც გამოაქვეყნებს.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ვერანაირი შანტაჟით ვერ აიძულებენ ბიძინა ივანიშვილს, რომ ქვეყნის ომში ჩასართავად დაბრუნდეს პოლიტიკაში. უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილების შემდეგ ირკვევა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება იმსჯელებს უკრაინიდან ელჩის გამოწვევის საკითხზე, თუმცა პირადად კობახიძის პოზიციაა, რომ დარჩეს ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში უკრაინის ხელისუფლებასთან.

„ეს არის სასოწარკვეთილი მცდელობა. მგონია, რომ საქართველოში მეორე ფრონტი არც ერთ შემთხვევაში არ გაიხსნება, როგორი შანტაჟიც არ უნდა განხორციელდეს. ისინი არ იცნობენ ბიძინა ივანიშვილს. ისინი ვერანაირი შანტაჟით ვერ აიძულებენ ბიძინა ივანიშვილს, რომ ქვეყნის ომში ჩასართავად დაბრუნდეს პოლიტიკაში, ეს არის გამორიცხული.

უშიშროების საბჭოს ვოლოდიმირ ზელენსკი ხელმძღვანელობს და, რა თქმა უნდა, მის მიერ არის გამოცემული ეს ბრძანება ისევე, როგორც თავის დროზე ელჩის გაწვევის ბრძანება. ლოგიკა არის ის, რომ ეს არის შანტაჟი. მათ სჭირდებათ ბერკეტი, იმისათვის, რომ საქართველო ჩართონ მეორე ფრონტში, ამისათვის სჭირდებათ არა დასჯა, არამედ შანტაჟი. სწორედ, ამ ლოგიკით მოხვდა ამ სიაში არა ბიძინა ივანიშვილი, არამედ მისი ოჯახის წევრების შეყვანა“, — განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ამ გადაწყვეტილებას თან ახლავს რამდენიმე „მაგრამ“. კერძოდ, საქართველომ რომ ანალოგიური ნაბიჯები გადადგას, ძალიან ადვილად წამოვა ბრალდების ტალღა, რომ საქართველომ უკრაინას ზურგი შეაქცია და ე. ი. რუსეთის მხარეს დგას. მისი თქმით, გამყარდება ანტიქართული და რუსოფობიის შესახებ გაკეთებული განცხადებები.

„ამიტომ, არ შეიძლება ამ კამპანიის აყოლა. არაა გამოირცხული, რომ რაღაცა ნაბიჯები მაგისთვის იდგმება, რომ პროვოცირება მოახდინონ ისეთი საკითხებზე, რომელიც მერე ევროპის თვალში დამაჯერებელი გახდეს საქართველოს პრორუსულ პოლიტიკაზე. რაც შეეხება კითხვას რატომ იცლის — თვითონ ზელენსკის ფიგურაშია ბევრი კითხვის ნიშანი დაგროვილი, ისევე როგორც მთლიანად უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ.

სამწუხაროდ, დღეს ისეთი ვითარებაა, რომ გადაბრუნებული სიტყვის თქმა უკრაინის წინააღმდეგ არ შეიძლება, მით უმეტეს საქართველოს მხრიდან, რადგან უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და დასავლეთის რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი ჩასაფრებულია, რომ როგორმე შეცდომა დაგაშვებინოს და პრორუსულობის ბრალდება წამოწიონ, ანუ იგივე ბრალდება, რასაც ამბობს სააკაშვილი“...

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს,ზელენსკი და მისი პოლიტიკური ჯგუფი მუშაობს იმაზე, რაზეც მუშაობდა პოროშენკოს ჯგუფი და ასევე, საქართველოდან გაქცეული „ნაციონალური მოძრაობის“ ნაწილი სააკაშვილისადეიშვილის ხელმძღვანელობით.

„დღეს, ეს ნაწილი ცდილობს, დაასუსტოს და მიაღწიოს იმას, რომ ჩამოშალოს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება. თუ ასეთი რამე მოხდა დასავლეთის გავლენით, ერთადერთი ალტერნატივა იქნება „ნაციონალური მოძრაობა“ და რა თქმა უნდა, ეს ხელს აძლევს ზელენსკის, რომელსაც გვერდით ჰყავს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. უკრაინის ხელისუფლებისთვის პარტნიორად ნაციონალები უფრო სასარგებლო არიან, ვიდრე „ქართული ოცნება“. აქ მტყუან-მართალზე არაა ლაპარაკი ისევე, როგორც ჭკვიანურ გადაწყვეტილებაზე. ეს ის ხალხი არ არის, ცოტა ხნის წინ იჩქერიის დამოუკიდელობა, რომ აღიარა?..

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, ბევრი შეიძლება ვერ აცნობიერებს, თუ რა შორსმიმავალი და მძიმე შედეგები შეიძლება ჰქონდეს ზელენსკის ამ გადაწყვეტილებას საქართველოსთვის. მისი თქმით, აქ უკვე მკაფიოდ იკვეთება ის დესტრუქციული ხაზი, რაც უკრაინის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ აირჩია საქართველოსთან მიმართებაში.

„დავარქვათ მოვლენებს თავის სახელი და გავხსნათ ფრჩხილები. პრეზიდენტ ზელენსკის ეს გადაწყვეტილება მისი „სტრატეგიული პარტნიორი“ ქვეყნის მოქალაქეებისთვის სანქციების დაწესებაზე, ფაქტობრივად, ძირს უთხრის ამ პარტნიორობას, გამომდინარე შედეგებით. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება პირდაპირ არის ჩართული საქართველოში ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით შეცვლის ღონისძიებებში. დაელოდონ ქართველი საზოგადოების რეაქციას“, — აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

მისი თქმით, საინტერესოა, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ სანქცია მსოფლიოში ორ ქვეყანას აქვს დაწესებული — უკრაინას და რუსეთს.

„უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლებისგან არ მგონია ეს ნაბიჯი ვინმეს გაკვირვებოდა. მე და ბევრმა იცის მათი ჩვენზე გაბრაზების მიზეზები, ის რომ უკრაინელი მაღალჩინოსნები პირდაპირ ითხოვდნენ საქართველოს ომში ჩართვას. შესაბამისად, უკრაინის ხელისუფლების მიერ სანქცირებულთა სიაში რომელიმე ქართველის მოხვედრა, თანაც მიზეზის მითითების გარეშე, არის შანტაჟის და ქვეყნის ომში ჩართვის კიდევ ერთი მცდელობა.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. სანქცირებულთა სია უშიშროების საბჭომ მოამზადა, რომლის ხელმძღვანელი დანილოვია. ეს ის დანილოვია, რომელიც პირდაპირ მოგვიწოდებდა ომში ჩართვისკენ, ხოლო აღნიშნული ე.წ. სანქციები არის მათი პასუხი ჩვენს უარზე, რომ საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნება“, — აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

თამთა ქარჩავა



რომი პუტინის ენერგეტიკულ შანტაჟს არ დაემორჩილება

იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯორჯა მელონიმ განაცხადა, რომ რომი არ დაემორჩილება პუტინის ენერგეტიკულ შანტაჟს და დარჩება უკრაინის პარტნიორად.

მელონის განცხადებით, შემდეგი „გახსნილი კვანძი“ ენერგეტიკული საკითხი იქნება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „პუტინის შანტაჟის დამორჩილება პრობლემის გაღრმავებას ნიშნავს“. „თავისუფლებას თავისი ფასი აქვს“, — თქვა იტალიის პრემიერმა.



გერმანიას არ სურს, რუსეთის მიერ ნაკარნახევი „მშვიდობა“ მიიღოს

გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომ ბერლინი არ დათანხმდება უკრაინის ნაწილის ოკუპაციას და რუსეთის მიერ ნაკარნახევი მშვიდობის მიღებას.

„ჩვენ გვესმის პრეზიდენტ ზელენსკის, რომ მიაღწიოს სამართლიან მშვიდობას. ახლა მთავარია ვიხილოთ უკრაინის სუვერენიტეტი და მთლიანობა. ჩვენ არ ვეთანხმებით რუსეთის მიერ მეზობელი სახელმწიფოს ოკუპაციას და მათ მიერ გამოცხადებულ მშვიდობას“, — განაცხადა შოლცმა.

მისივე თქმით, ამ პოზიციას იზიარებენ, როგორც დანარჩენ ევროპაში, ასევე გერმანიაში. შოლცის განცხადებით, უკრაინის აღდგენა კომპლექსური პროექტის ფარგლებში მოხდება.

ᲒᲕᲐᲑᲠᲫᲜᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐ ᲕᲐᲠᲗ!

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ 1-ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲗ ᲒᲕᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ!

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲟᲘᲛᲡ ᲠᲝᲪᲐ ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲓᲘᲗ, ᲔᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲬᲐᲒᲕᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲐᲗᲥᲕᲔᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ. ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲥᲪᲔᲗ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲐᲜ ᲣᲐᲠᲔᲡ ᲭᲐᲜᲭᲘᲙᲐᲓ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲧᲝᲤᲜᲐᲡ? ᲐᲡᲔᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲩᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲘᲥ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘ, ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲦᲘᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲒᲠᲫᲜᲝ ᲛᲝᲜᲝᲑᲐ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ for.ge-ᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ „ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

— ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲥᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲮᲐᲜ „ᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ“ ᲣᲗᲕᲚᲘᲐᲜ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲮᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲮᲐᲜ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲣᲬᲔᲡᲔᲑᲔᲜ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲡ, ᲡᲣᲚ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲔᲡᲢᲝᲕᲘᲩᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲠᲝᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲮᲡᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲞᲐᲘᲠᲓᲐ ᲓᲐᲮᲡᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲔᲠᲔᲕᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ? ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲥᲛᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ „ᲑᲝᲛᲑᲐᲕᲔᲜ“ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ? ᲣᲦᲘᲠᲗ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ?

— უკრაინას და არა მარტო უკრაინას სურს, საქართველოში იყოს მეორე ფრონტი. ეს იმიტომ, რომ რუსეთი ამით შეასუსტონ, საქართველოს რა დაემართება, არავინ ფიქრობს. მხოლოდ ერთადერთ რამეზე ფიქრობენ, დღენახევრის ან ორი დღის განმავლობაში უფრო მეტი ენერგია დაახარჯინონ რუსეთს საქართველოს საწინააღმდეგოდ, ვიდრე დღეს ხარჯავს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორია და მოსახლეობა საერთოდ სახსენებელი არ არის უკრაინასთან, 2008 წელს რამდენდღიანი ბრძოლა დაგვჭირდა იმისთვის, რომ კაპიტულაციაზე ხელი მოეწერა სააკაშვილს და ტერიტორიები წაელო რუსეთს?!

ახლა კიდევ უფრო მარტივი იქნება ამის გაკეთება, რადგან რუსის ჯარი უკვე მობილიზაციაშია მოყვანილი, საომარ მდგომარეობაშია და ამ ჯარის რაღაც ნაწილს გადმოტყორცნიან საქართველოში. ისე, რად უნდათ გადმოტყორცნა? საქართველოს ერთი ბომბი, მაქსიმუმ ორი ბომბი ეყოფა იმისთვის, რომ აღარ იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კარგად იცის დასავლეთმაც, ამერიკამაც, უკრაინამაც, დღესაც გვეუბნებიან ივანიშვილის გარემოცვისთვის დაწესებული სანქციებით, თუ არ გააჩაღებთ მეორე ფრონტს, მაშინ ჩვენ დავსჯით ბიძინა ივანიშვილს, ერთადერთ ადამიანს, რომელიც დადებით როლს ასრულებს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ერთ მხარეს არის ფაშისტი ოპოზიცია კი არა, არამედ ფაშისტი კრიმინალები, ხოლო მეორე მხარეს არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც თანხა გააჩნია და სახელმწიფოს განვითარებაში დებს ამ თანხას. დავინახეთ, რომ აშშ-მა რაც ჩადო 30 წლის განმავლობაში, იმაზე მეტი აქვს ერთ ადამიანს ჩადებული საკუთარ ქვეყანაში, ასეთი ადამიანის ჩამოშორება უნდათ საქართველოსგან. ფაქტია, რომ უკრაინა არაკეთილისმსურველ ქვეყნად გადაიქცა და, ზოგადად, არაკეთილისმსურველი გარემოა ჩვენს ირგვლივ შექმნილი.

ასეთი რეალობის წინაშე ვდგავართ. თანაც, ამ სანქციების შინაარსი არგუმენტს მოკლებულია. რაზე დაყრდნობით შეიძლება ივანიშვილის ნათესავებს გამოუცხადო სანქციები, როცა მათი საქმიანობა ამის საშუალებას არ იძლევა? რას აკეთებენ ეს ადამიანები დასასანქცირებელს? მერე თავი დავანებოთ ამ ადამიანებს, გაცხადებულია, რომ ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება უნდათ, ამ დროს ბიძინა ივანიშვილს არ ასანქცირებენ და სანქციებს ადებენ მის უახლოეს გარემოცვას, დეიდაშვილს, სანათესაოს. ეს ლოგიკაში არ ჯდება, რა უნდათ ამ ხალხისგან? ეს არესტოვიჩია, თუ ვიღაც ტოვიჩი, მისი ბოლო განცხადება რას ნიშნავს, რომ თურმე უკრაინელებს 1-მილიონიანი ჯარი ჰყავთ და მათ საქმეს გამოუჩენს, რომ საქართველოში,

მოლდოვაში, სომხეთსა და მთლიან პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიჭრან და მოაშორონ, მათი წარმოდგენით, უვარგისი ხელისუფლება, ანუ მათი მაფიოზური კლანისთვის მიუღებელი ხელისუფლებები ჩამოაშორონ მმართველობას. აი, რა იდეისკენ მიდის არესტოვიჩი.

— მხოლოდ მეორე ფრონტის გახსნა არ უნდა იყოს უკრაინის უკმაყოფილების მიზეზი, შესაძლოა, სააკაშვილი რომ არ გადავეცით უკრაინას, ესეც იყოს მათი განაწყენების განმაპირობებელი. არესტოვიჩს წამოსცდა კიდეც, „საქართველოს ხელისუფლება ანგრევს ყველაფერს, რაც სააკაშვილმა ააშენა“. ხომ არ დაგროვდა უკმაყოფილების მიზეზები უკრაინის მაღალ ეშელონებში და არესტოვიჩის პირით გამოხატავენ სათქმელს?

— სხვათა შორის, არესტოვიჩმა ეს ძალიან სწორად თქვა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ანგრევს იმას, რაც სააკაშვილმა შექმნა. დიახ, დღევანდელმა ხელისუფლებამ დაანგრია ჯიბის სასამართლო, რომელიც სააკაშვილ-ადეიშვილის დღის წესრიგით არსებობდა და ნოტარიუსებად იყვნენ გადაქცეულნი მოსამართლეები. საერთოდ, გაიდლაინები დაუწერეს მოსამართლეებს, რა შემთხვევაში რა განაჩენები უნდა გამოეტანათ. სააკაშვილის დროს დაინერგა კაცობრიობის წინაშე დანაშაულების სისტემური გამოყენება ციხეებში, ვგულისხმობ წამებას და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

დღეს ციხეებში, ფაქტობრივად, სანატორიუმის პირობებში არიან განთავსებულნი პატიმრები. სააკაშვილზე არ მინდა საუბარი, „ნაციონალები“ არიან ოპოზიციაში და არ მსურს, სერიოზულად დავარტყა ამ ხელისუფლებას, თორემ უარესის ღირსები არიან, რასაც ეგენი აკეთებენ სააკაშვილის კომფორტისთვის და აყურებინებენ ამას ათი ათას პატიმარს, რომ ერთ პატიმართან შედარებით ყველანი დისკრიმინაციაში არიან. ეს ამ ხელისუფლების ხარვეზად კი არა, დანაშაულად მიმაჩნია.



ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ? ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲭᲐᲜᲭᲘᲙᲔᲑᲘ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲛᲐᲤᲘᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲕᲔᲫᲐᲮᲘᲗ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲡ, ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲛᲐᲤᲘᲐᲡ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ, ᲘᲪᲘᲐᲜ ᲠᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲔᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ.

— ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ? ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲭᲐᲜᲭᲘᲙᲔᲑᲘ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲛᲐᲤᲘᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲕᲔᲫᲐᲮᲘᲗ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲡ, ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲛᲐᲤᲘᲐᲡ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ, ᲘᲪᲘᲐᲜ ᲠᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲔᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ.

— ᲐᲜᲣ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲖᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲖᲔ?

— არახამია და ზელენსკი რას წარმოადგენენ? ესენი არიან პატარა ჭანჭიკები უზარმაზარი მაფიის, რომელთაც ვეძახით ფსევდოლიბერალებს, ნეოლიბერალებს. სწორედ ამ მაფიას ეშინია, იციან რა სააკაშვილის სისუსტეები. ამიტომ არის გამალებული ბრძოლა, ექიმების მთელი კოლონების ჩამოსვლა.

— ხომ არ დადგა დრო, კელი დეგნანი და სხვა დასავლელი დიპლომატები თუ მაღალჩინოსნები გაემიჯნენ არესტოვიჩის ტონალობას, ან დაგმონ სხვა ქვეყნის საქმეებში მისი ჩარევის მცდელობა?

— ნორმალურ სიტუაციაში, ასეთი ტონალობა რომ მართლაც მხოლოდ უკრაინის ხელისუფლებისგან, არესტოვიჩისგან ან ზელენსკისგან მომდინარეობდეს, უკვე გამიჯნული იქნებოდნენ ევროკავშირისა და ამერიკის ელჩები, მაგრამ ეს მახინჯი შანტაჟი მხოლოდ არესტოვიჩის და მის მსგავსთა ტვინში არ იხარშება, ყველანაირი მეთოდი და ხერხია იმისთვის გამოყენებული, რომ შეაშინონ საქართველოს ხელისუფლება.

როგორც თვითონ ფიქრობენ, რომ ყველაფერს აქ ბიძინა ივანიშვილი წყვეტს, შეაშინონ ბიძინა ივანიშვი-

ლი და წაიყვანონ იმ დათმობაზე, რომ აქ გაჩაღდეს მეორე ფრონტი.

— თქვენ კითხვა გიჩნდებათ, გვილირს კი ისეთი გაერთიანებისკენ თავქუდმოგლეჯილი სწრაფვა, რომელიც მხოლოდ მოთხოვნებს გვიყენებს და ჩვენი ქვეყნის ინტერესებს უგულებელყოფს? რა ხიბლი აქვს ასეთი ძებნილ ადეიშვილს, რომ შეუცვლელი გახდა უკრაინის უფლებების დამცველად ევროკავშირში? იქნებ, იმის გამო, რომ საქართველო რუსეთის მძევალია, ევროკავშირში ფიქრობენ, რომ ნებისმიერ რამეზე თვალს დავხუჭავთ, მათ შორის, ადეიშვილზეც?

— ადეიშვილს არანაირი ხიბლი არ აქვს, ის არის ნეოლიბერალური მაფიის წევრი, როგორც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი. ვინაიდან „ნაცმოძრაობის“ „ვერხუშკა“ იყო ამ მაფიის წევრი, ეს კლანი ადეიშვილს იცავს. საბჭოთა რეჟიმის დროს როცა ვიბრძოდით, ვიბრძოდით იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა წაგვართვა დამოუკიდებლობა, ჩვენ ვიყავით ათქვეფილი საბჭოთა კავშირში. თუ ჩვენ იგივე პრობლემა გველის ევროკავშირში, რომ ვიქცეთ ასეთივე ან უარეს ჭანჭიკად, რომელსაც ღირსება, დამოუკიდებლობა და დემოკრატია წართმეული აქვს, მაშინ რა აზრი აქვს ასეთ ყოფნას ევროკავშირში?

ადეიშვილს არანაირი ხიბლი არ აქვს, ის არის ნეოლიბერალური მაფიის წევრი, როგორც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი. ვინაიდან „ნაცმოძრაობის“ „ვერხუშკა“ იყო ამ მაფიის წევრი, ეს კლანი ადეიშვილს იცავს.

ასეთ მოთხოვნებს რუსები არ გვიყენებდნენ, რასაც დღეს ესენი ბედავენ და გვიყენებენ. ასეთი ტონით რუსები არ გველაპარაკებოდნენ, ჩადიოდნენ იქ ჩვენი ხელისუფალნი დაფასებულნი, აღიარებულნი, მიღებულნი, რაღაც ფორმები იყო შენარჩუნებული, რომ ღიად და საჯაროდ არ გვეგრძნო მონობა. დღეს კი ყოველ წუთში გვაგრძნობინებენ, რომ მონები, დაპყრობილები ვართ და კოლონია ვართ, ამას გვაგრძნობინებენ თუ ელჩის პირით, თუ სხვადასხვა ევროპარლამენტარის პირით, თუ უკრაინის ჭანჭიკი ხელისუფლების პირით, რომელიც პირდაპირ განადგურებით გვემუქრება თავისი 1-მილიონიანი ჯარით, შემოვალთ და დაგიმხობთ ხელისუფლებასო.

მგონი, ირაკლი ქადაგიშვილმა თქვა და მეც გავიმეორებ, ამდენი დახმარების, მათ შორის, ჰუმანიტარული დახმარებისა და გვერდით დგომის ფონზე, რომელიც საქართველოს გაჭირვებულმა მოსახლეობამ, გადასახადის გადამხდელებმა გაიღეს უკრაინელების მიმართ, ერთი მადლობის ღირსიც არ გახადა უკრაინის ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა.

ამ დახმარებაში ჩვენი ხელისუფლების უზარმაზარი წვლილი იყო, თვითმფრინავებით ეზიდებოდნენ ჰუმანიტარულ ტვირთს, ანაწილებდნენ. ერთი მადლობა უკრაინის მხრიდან არ წამოსცდენიათ. მე ასეთნაირად არ ვიცნობდი უკრაინელ ხალხს, თუმცა აქ ხალხი არაფერ შუაშია, ძირითადად, ეს არის უკრაინის ხელისუფლების ბრალი, მაგრამ ფაქტია, ეს ყველაფერი მაინც უკრაინასთან იგივდება.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

გაუაზრებელი და მტრული სანქციები ზელენსკისგან!

უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის №727 ბრძანებით, რომელიც 19 ოქტომბერს გამოქვეყნდა, პერსონალური ეკონომიკური სანქციები დაუწესდა საქართველოს ოთხ მოქალაქეს: 70 წლის ალექსანდრე ივანიშვილს, მის მეუღლეს, 55 წლის ქეთევან ხარაიძეს; 55 წლის უჩა მამაცაშვილს და მის შვილს, 21 წლის ტიტე მამაცაშვილს.

ოთხივე მათგანი საქართველოს ყოფილი პრემიერის და მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრები და ახლო ნათესავები არიან: ალექსანდრე ივანიშვილი ბიძინა ივანიშვილის ძმაა, ქეთევან ხარაიძე — რძალი, უჩა მამაცაშვილი — დეიდაშვილი და ტიტე, დეიდაშვილის შვილი. ისინი სხვადასხვა ფინანსურ აქტივებს ფლობენ, მათ შორის, ივანიშვილის ბიზნესს იმპერიაში.


Додаток
до рішення Ради національної безпеки і оборони України
від 19 жовтня 2022 року «Про застосування та внесення змін до
ФІЗИЧ
які спеціаль
Грузії, ідентифікаційний номер платника
податків Грузії

რას ცვლის კიევის მიერ ივანიშვილის ახლო ნათესავების სანქცირება?

უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებაში განმარტებულია რომ, ამ პირებს 13 ტიპის სანქცია დაუწესდათ: მათ შორის — აქტივების ბლოკირება; საავჭრო ოპერაციების შეწყვეტა და უკრაინის ტერიტორიაზე რესურსების, ფრენების და ტრანსპორტირების ტრანზიტის სრული შეწყვეტა.

ზელენკის ბრძანებაში მიზეზად მითითებულია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის და უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება.

შესაძლებელია, თუ არა, კიევის ამ ნაბიჯის შემდეგ, საერთაშორისო სანქციები უშუალოდ ბიძინა ივანიშვილს შეეხოს? „როდესაც ჩვენ რაიმე სანქციებს ვაწესებთ, ეს ცხადდება საჯაროდ, ქვეყნდება და არ ხდება ამის წინასწარ განხილვა“ — ასეთი კომენტარი გააკეთა ამ თემაზე აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა.

„ასე ერთმნიშვნელოვნად მინიშნება, რომ რაკი უკრაინელებმა სანქციები დაუწესეს ადამიანებს ივანიშვილის გარემოცვიდან, ამერიკელები დაასანქცირებენ თავად ივანიშვილს, არ არის სწორი.

თუმცა, იმავდროულად, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ამერიკელები ამას არ გააკეთებენ, თუ კი, გაგრძელდება ეს „გაუცხოების“ პოლიტიკა (დასავლეთთან) და გაჩნდება უფრო მეტი კითხვის ნიშნები, საქართველოს მოქმედებებთან დაკავშირებით“, — უთხრა „ამერიკის ხმას“ საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების მკვლევარმა **გიორგი გობრონიძემ.**

მისი თქმით, უკრაინის გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ თბილისმა ვერ შეძლო კიევის დარწმუნება, რომ ივანიშვილის გარემოცვა, რომელიც ქვეყნის ბიზნეს-ელიტას და საზოგადოების უმდიდრეს ფენას წარმოადგენს, არ არის ჩართული იმ საქმიანობაში, რაც რუსეთთან ომის დროს, უკრაინის სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

„სწორედ ამას მოჰყვა ეს სანქციები (უკრაინის მხრიდან) და, თუკი გაგრძელდა, (საქართველოს) ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, დიდი ალბათობით, შეიძლება ამას მოჰყვეს აშშ-ის და ევროკავშირის სანქციებიც. ზოგადად, საქართველოს ინტერესში არ უნდა იყოს, რომ ადამიანები საქართველოდან აღმოჩდნენ საერთაშორისო სანქციების ქვეშ, განსაკუთრებით, აშშ-ის და ევროკავშირის სანქციებისა“, — მიაჩნია გობრონიძეს.

მიუხედავად მტკიცებისა, რომ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი სრულად ჩამოშორებულია პოლიტიკას და არ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში, თბილისში, კიევის გადაწყვეტილება მეტად მტკივნეულად აღიქვეს.

„არამეგობრულიდან“ „მტრულამდე“ — ასეთი იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებები. „მტრული“ კიევის მოქმედებას კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა უწოდა.

„ჩვენ ვხედავთ ძალიან არამეგობრულ ნაბიჯებს უკრაინის ხელისუფლების მხრიდან და ძალიან სამწუხაროა, რომ რუსეთის შემდეგ, უკრაინა აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს სანქციებს უწესებს “ — აღნიშნა პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ.

უფრო შორს წავიდა, ივანიშვილთან და ხელისუფლებასთან დაახლოებული ფილოსოფოსი **ზაზა შათირიშვილი,** რომელმაც თქვა, რომ „შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ ივანიშვილის ოჯახის წევრებისა და ნათესავების სანქცირების გადაწყვეტილება უკრაინელებმა დამოუკიდებლად და ამერიკელების მითითების გარეშე მიიღეს“.

ივანიშვილის გარემოცვის სანქცირებით კმაყოფილი დარჩა „ნაციონალური მოძრაობა“. დეპუტატმა ხატია დეკანოიძემ ივანიშვილს პარლამენტიდან მოუწოდა, ჩამოშორდეს მმართველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მის ფინანსურ კაპიტალს აუცილებლად დაემუქრება საფრთხე, სანქციების სახით“.

კიევის მხრიდან სანქცირებული პირებიდან მედიისთვის განცხადება, ადვოკატის მეშვეობით, მხოლოდ ბიზნესმენმა უჩა მამაცაშვილმა გაავრცელა. **„უკრაინის უმაღლესი ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება თავისთავად მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ არგუმენტაციას და წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ სპეკულაციას“,** — ნათქვამია განცხადებაში.

„უკრაინის ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, უფრო სიმბოლურია, თუმცა, ეს არის ერთგვარი მესიჯი, შეტყობინება ივანიშვილისთვისაც, რომ გონს მოეგოს. ჩემი აზრით, ივანიშვილი დღეს დაშანტაჟებულია რუსეთისგან, ისიც და მისი მთავრობაც მთლიანად გადახრილია რუსეთისკენ. 2016 წლამდე კარდინალურად საპირისპირო ვითარება იყო“ - ამბობს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი,** რომელსაც ივანიშვილის მთავრობაში მუშაობის გამოცდილება აქვს.

„სამ პრემიერთან ვმუშაობდი, ივანიშვილთან, ღარიბაშვილთან და კვირიკაშვილთან და სამივე, განსაკუთრებით კი ივანიშვილი ფანი იყო აშშ-ის და მათი ელჩების. ანუ ნებისმიერ კრიტიკულ საკითხზე აუცილებლად ამბობდა, მოდით ვკითხოთ ამერიკელებს. მოდი ვკითხოთ ელჩებს. აშშ-ის ყველა ელჩთან ძალიან ახლო მეგობრობა ჰქონდა.

ჩემი პოლიტიკური თანამდებობა იყო და ნათლად ვხედავდი, რომ მაშინ ყველას ესმოდა რა სიკეთეები მოაქვს აშშ-თან მეგობრობას. რაღაც ხდება 2016 წელს, რომლის შემდეგ ყველაფერი აყირავდა... ჩემთვის დღეს, გამაოგნებელია, იგივე ხალხი, როგორ ცინიკურად, თავხედურად უტევს აშშ-ს და მის ელჩს“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

უკრაინის პრეზიდენტის ზელენსკის №727 ბრძანებით, სანქცირებულთა სიაში ასევე მოხვდნენ ქართული წარმოშობის რუსი და ბერძენი ბიზნესმენები:

თბილისში დაბადებული დავით იაკობაშვილი, რომლის ქონებაც 700 მილიონ დოლარად არის შეფასებული. იგი რუსეთის და შვედეთის მოქალაქეა და ბიზნეს აქტივებს საქართველოშიც ფლობს, მათ შორის, ქვეყნის უმსხვილეს ნავთობკომპანია „გალფს“, ავტოგასამართი სადგურების ყველაზე დიდი ქსელით. სანქციები დაუწესდა რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობის მომპოვებელი კომპანია „ევრაზიის“ მთავარი აქციონერს, დაღესტანში დაბადებულ ალექსანდრე ჯაფარიძეს, მისი ქონება 950 მილიონ დოლარად არის შეფასებული; ასევე მის შვილს გიორგი ჯაფარიძეს.

სანქცირებულთა სიაშია, საქართველოში, წალკის სოფელ სანტაში დაბადებული ბერძენი მილიარდერი ივან სავიდიც, 1.6 $ მილიარდიანი ფინანსური აქტივებით.

სავიდი ფლობს მსხვილ ბიზნესებს, როგორც რუსეთში, ისე საბერძნეთში, მათ შორის, სალონიკის საზღვაო პორტის ოპერატორს და სალონიკის საფეხბურთო კლუბ „პაოკს“.

უკრაინის მიერ სანქცირებულთა სიაში არიან, რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან დაახლოებული, არაერთი რუსი მილიარდერი: ლისინი, პროხოროვი, ქერიმოვი, მისელსონი, ბაკალჩუკი, ტიმჩენკო, ფედუნი, აბრამოვი, როტენბერგი და სხვები.

სანქცირებულთა სიაში აღმოჩნდა პუტინის კიდევ ერთი მეგობარი, სომეხი მილიარდერი, „ტაშირ ჯგუფის“ მეპატრონე სამველ კარაპეტიანიც, რომელსაც ბიზნესს აქტივები საქართველოშიც აქვს.

ზაზა წულაძე

ვანდალიზმი, რომელსაც დივერსიის სუნი უდის!..

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

როდესაც საქმე ადამიანის სიცოცხლეს და უსაფრთხოებას ეხება

თბილისის მერმა სამშენებლო ობიექტების ინსპექტირების შედეგებზე ისაუბრა.

„როგორც იცით, მუნიციპალური ინსპექცია მუდმივად ახორციელებს, მშენებარე ობიექტების მიერ სამშენებლო ნორმებისა და უსაფრთხოების წესების შესრულების მონიტორინგს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ამ გამოწვევაზე არაერთხელ გვისაუბრია. გვახსოვს 2017 წელს, როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, რამდენად მძიმე მდგომარეობა გვქონდა ამ მიმართულებით და როგორი თანმიმდევრული ნაბიჯები გადავდგით.

მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები და გარკვეულ დარღვევებს, რომელიც შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით იქნება განხორციელებული, მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. მონიტორინგის შედეგად, გამოვავლინეთ სამი ობიექტი, სადაც დარღვეული იყო სამშენებლო უსაფრთხოების წესები.

ერთი ობიექტი ჭიჭინაძის ქუჩა №2ბ-ში მდებარეობს და მას უსაფრთხოების მიმართულებით აქვს დარღვევები. მეორე ობიექტი ისნის რაიონშია, ახალუბნის ქუჩა №11-ში. მესამე კი, დიდ დიღომში, დოესის ქუჩა 22/5-ზე მიმდინარე მშენებლობაა. სამივე ობიექტზე შეჩერებულია სამშენებლო სამუშაოები, შეჩერების აქტი ჩაბარებულია და სამივე მათგანი 30 000 ლარით დაჯარიმდა“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა კიდევ ერთხელ მოუწოდა სამშენებლო ობიექტების პასუხისმგებელ პირებს, რომ მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ სამშენებლო პროცესებს.

„სამშენებლო მოედნებზე უზრუნველყოფილი იყოს იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება. სამშენებლო ობიექტებსა და მათ მფლობელებს, კონკრეტულ პასუხისმგებელ პირებს, ვისაც ევალება უსაფრთხოების ნორმების დაცვა, მოვუწოდებ, მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ სამშენებლო პროცესებს, რადგან საქმე ეხება უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ასევე, მინდა კიდევ ერთხელ მივმართო მუნიციპალურ ინსპექციას და ჩემს მოადგილეს, კახა გულედანს, რომ მაქსიმალური ყურადღება და ყოველდღიური მონიტორინგი გააგრძელონ, რათა მკაცრად გაკონტროლდეს უსაფრთხოების ნორმების შესრულება სამშენებლო ობიექტებზე“, — განაცხადა თბილისის მერმა.

ამით საფრთხეს უქმნით ჩვენს მოქალაქეებს!!!

კახა კალაძემ ვანდალიზმის ფაქტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პარკებსა და სკვერებში ბოლო დღეების განმავლობაში, განათების ბოძებს დამცავ ხუფებს ხსნიან.

დედაქალაქის მერმა აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი ფოტომასალაც წარმოადგინა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი დაზიანებულ ინვენტარს სრულად აღადგენს.

„ვანდალიზმი ძალიან მტკივნეულია ჩვენთვის, ქალაქისთვის და სამწუხაროდ, ხშირად ფიქსირდება ფაქტები, როდესაც ახლად რეაბილიტირებულ, მოწესრიგებულ სივრცეებში მიზანმიმართულად აზიანებენ ინფრასტრუქტურას. ბოლო დღეების განმავლობაში, სკვერებსა და პარკებში განათების ბოძებს ხსნიან დამცავ ხუფებს. ასეთ ფაქტებს ყოველთვის აქვს შესაბამისი რეაგირება — ხდება დაზიანებული ინვენტარის აღდგენა და განათების ბოძებზე მოპარული ხუფების თავიდან მონტაჟი, მაგრამ თავად ფაქტი დიდი პრობლემაა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ვანდალიზმის ჩამდენ პირებს შეახსენა, რომ მათი ქმედებები მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის.

„მინდა, ვანდალიზმის ჩამდენ პირებს მივმართო — რასაც თქვენ აკეთებთ, ეს არის უმძიმესი დანაშაული. ამით საფრთხეს უქმნით ჩვენს თანამოქალაქეებს, მათ უსაფრთხოებას, პარკში მყოფ ნებისმიერ დამსვენებელს“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მანვე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოქალაქეებს ინფორმაციის მოწოდებისკენ, ხოლო დედაქალაქის გამგეობების წარმომადგენლებს მონიტორინგის გაგრძელებისკენ მოუწოდა.

ზოგიერთი ტელევიზია საცურაო აუზებისა და ბავშვების თემით მანიპულირებს

თბილისის მერი სპორტულ ცენტრ „იმედის“ აუზთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ვიდეო გადაღებულია ზაფხულში, სადაც ასახულია პერსონალის მიერ აუზიდან წყლის სინჯის აღების პროცესი.

მისი განცხადებით, ინფორმაციის გავრცელებისთანავე, მყისიერად ჩატარდა აუზის წყლის ტესტირება, ასევე, დამატებით ორი კომპლექსური კვლევა, რომელმაც ქლორისა და PH-ის მაჩვენებლების ნორმებთან შესაბამისობა აჩვენა.

„სამწუხაროდ, კონკრეტული მედიასაშუალების მხრიდან ადგილი აქვს საცურაო აუზისა და ბავშვების თემით მანიპულირების ფაქტს და სიცრუის პროპაგანდას. საქმე ეხება სპორტულ ცენტრ „იმედს“, სადაც გადაღებული ვიდეომასალა სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა, გასულ კვირას გამოაქვეყნა.

ამას მოჰყვა ჩვენი მხრიდან შესაბამისი რეაგირება, განცხადებების გავრცელება და ა.შ.

მოქალაქის ინფორმაციით, ვიდეოში ასახულია ბავშვებით სავსე საცურაო აუზში, წყლის ქიმიური დამუშავების პროცესი (კერძოდ, ქლორის დამატება), რის გამოც, რამდენიმე დღის წინ თითქოს, ბავშვებმა და მწვრთნელებმა მიიღეს სხეულის ინტოქსიკაცია.

ინფორმაციის გავრცელებისთანავე, მყისიერად ჩატარდა აუზის წყლის ტესტირება, რომელმაც აჩვენა, რომ ქლორი და PH-ის მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია. ასევე, სპორტული ცენტრის ადმინისტრაციის მოკვლევით, ამ დღეების განმავლობაში, არც ერთი ბავშვი არ იმყოფებოდა სამედიცინო დაწესებულებაში, რაც ინტოქსიკაციის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, გარდა ამისა, ჩატარდა დამატებით ორი კომპლექსური კვლევა, რომელშიც ყველაფერი წესრიგშია.

კახა კალაძის თქმით, პრობლემას წარმოადგენს სპორტული ცენტრის კონკრეტული თანამშრომლების მიერ სიცრუის მიზანმიმართული გავრცელება, რასაც მერიის მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

მისივე თქმით, აუზში წყლის ქიმიური დამუშავებისთვის გამოიყენება ესპანური წარმოების ქლორი DIASA, რომელსაც შესაბამისი სერტიფიკატები გააჩნია.

KIUINNOVATE-ის პირველი ბიზნეს ფორუმი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში

(მეორე გვერდიდან)

სწორედ აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა წარმოადგენს, რასაც ბოლო წლებში განხორციელებული ყოვლისმომცველი რეფორმები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტი ცხადყოფს.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობამ ახლახან დაამტკიცა 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის ფარგლებში მიღწეული შედეგების გამყარებას და სამეცნიერო კვლევების გაძლიერებას.

ჩვენ ვისწრაფვით, რომ საქართველო გახდეს მეცნიერების, კვლევისა და განათლების რეგიონული ჰაბი, სადაც გამორჩენილ მკვლევრებს მთელი მსოფლიოდან ექნებათ შესაძლებლობა, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით განახორციელონ საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევები. ამ მიმართულებით უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსება, რაც, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზანია, გახდეს საქართველოს პირველი სამეწარმეო უნივერსიტეტი — აღსანიშნავია, რომ უკვე შექმნილია საერთაშორისო ინდუსტრიის მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის განვითარებას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. მოხარული ვარ, რომ მაქვს პატივი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ და წამყვან მეცნიერებთან ერთად ვიყო ამ უმნიშვნელოვანესი საბჭოს წევრი.

მჯერა, KIUInnovate-ის ბიზნეს ფორუმი იქნება უნიკალური პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავებასა და სამეცნიერო კავშირების გაძლიერებას“, — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

KIUInnovate-ის პირველ ბიზნეს ფორუმში მონაწილეობა ასევე მიიღეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტმა, მსოფლიოში ცნობილმა წამყვანმა მეცნიერმა, პროფესორმა ვოლფგანგ ჰერმანმა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, ინდუსტრიის ლიდერებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიების ხელმძღვანელებმა, ექსპერტებმა და საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლებმა.



KIUInnovate-ის ბიზნეს ფორუმი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამასა (UCBP) და TUM Internacional-თან პარტნიორობით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინოვაციების საეტაპო ინიციატივის ფარგლებში გაიმართა. ფორუმის ჩატარების მიზანს უნივერსიტეტში მეწარმეობისა და ინოვაციების დანერგვა წარმოადგენდა.

2011 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს ტყემალაძეთა გვარის 3000 ადამიანი. გვარის წარმოშობის ფუძეა ჭიათურის რაიონის სოფელი ჭილოვანი. თუმცაღა, დღეს ამ გვარის ოჯახები ცხოვრობენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში, და, რა თქმა უნდა, თბილისში. მე, პირადად მოძიებული მყავს ოჯახები აფხაზეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, ქვემო იმერეთიდან, აჭარიდან, ქართლიდან, კახეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, დუშეთიდან, ბოლნისიდან და ა.შ.

ჩვენი ერთობა დიდი ეროვნული საქმეა

სრულიად საქართველოს ტყემაღლაძეთა საგვარეულო

გვარის წარმოშობის სავარაუდო ვერსია, საეკლესიო საბუთებზე დაყრდნობით, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ეს ყველაფერი, ბროშურაში, თავისი ხელით დაწერა ბაბუაჩემის ვასილ ტყემალაძის ძმამ, **დეკანოზმა ლუკა ტყემალაძემ** ამ ბროშურიდან ვიგებთ, რომ წინაპართა გადმოცემის თანახმად, როდესაც თურქ-სელჩუკების ურდოები შემოესეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, მათ შორის იმერეთს, მოსახლეობა (მოხუცები, ქალები, ბავშვები) მთიან, მიუვალ ადგილებში იხიზნებოდა. ერთ-ერთი ასეთი შემოსევის დროს, ახლანდელი ხარაგაულის რაიონის სოფელ უბისიდან, სხვა სოფლების მცხოვრებლებთან ერთად, ხალხი გახიზნულა ჭიათურის რაიონის ტყეებსა და მღვიმეებში, მტრისაგან მიუვალ ადგილებში. გახიზნულ ადამიანებს შორის, ყოფილა უბისელი „სარდალ აბაშიძის“ ფეხმძიმე მეუღლე, გვარად ნაკაშიძე. გარკვეული დროის შემდეგ მას შეეძინა ბიჭი. ბრძოლის ველზე კი მტერი მიიწევდა გახიზნული მოსახლეობისკენ.

ახალ დაბადებული ბავშვი დედამ გაახვია ნაჭერში და ტყეში ტყემლის ხეზე დაკიდა, თავად კი შეუერთდა ათეულობით გახიზნულებს თავისიანების დასახმარებლად. გაირკვა, რომ მისი მეუღლე ბრძოლაში დაიღუპა. ასევე, გადმოცემა გვიამბობს, რომ ამ ქალბატონს მტერმა შეპყრობა დაუპირა, მან კი მტრის ხელში ჩავარდნას გმირული სიკვდილი არჩია, ხელი ჰკრა მტრის ერთ-ერთ მეომარს და მასთან ერთად უფსკრულში გადაიჩეხა. როდესაც დედა აღარ დაბრუნდა ბავშვთან, ცხადია ახალშობილმა ხმამაღლა ტირილი დაიწყო. ამ ხმის გაგონებაზე მასთან ერთ-ერთი მეძუძური ქალბატონი მივიდა, თავისთან გამოქვაბულში წაიყვანა და მის აღზრდას მიჰყო ხელი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ბავშვის მონათვლის დრო მოვიდა, შეკრებილან უხუცესები და უმსჯელიათ თუ რა გვარი უნდა მიეცათ მისთვის. რადგანაც, ჩვილი ტყეში ტყემლის ხეზე ჩამოკიდებული ნახეს, მისცეს გვარი – ტყემალაძე (სახელი უცნობია), ანუ ტყეში დამალული.

მტრის უკუქცევის შემდეგ, გახიზნულთა დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა საცხოვრებლად აქვე დარჩენილიყო, რადგანაც ეს ადგილები ცხოვრებისთვის უსაფრთხოდ ჩათვალეს. მოგვიანებით, როდესაც ბავშვი სრულწლოვანი გახდა, მის ნათესავებს გაუგიათ ეს ამბავი. თუმცა, რადგან ბავშვი ტყემალაძის გვარზე იყო მონათლული და მის გამზრდელს, გული რომ არ სტკენოდა, აღარ წაუყვანიათ უბისაში. უბისელმა აბაშიძეებმა დღესაც კარგად იციან, რომ ტყემალაძეები მათი ნათესავები არიან. ამას ადასტურებს ისიც, რომ უბისაში დღესაც ცხოვრობს ტყემალაძეთა გვარის არაერთი ოჯახი. სწორედ ეს ოჯახები, პირადად მე მოვილოცე საგვარეულო ხატთან ერთად.

ასე გაშენდა ამ ქარაფ კლდეებზე პატარა იმერული სოფელი ჭილოვანი. საინტერესოა, რომ იქ მცხოვრები სხვადასხვა გვარებიდან სასულიერო პირები უმეტესად ტყემალაძეები არიან, რაც დასტურდება ეკლესიის გარშემო, საფლავების ქვებზე არსებული წარწერებით. იმ მიზნით, რომ საწერეთლოში, ანუ საჩხერეში, არ იყვნენ საკმარისი რაოდენობის სასულიერო პირები, თავად წერეთლის თხოვნით, მღვდლები – ორი ძმანი, მათე და მაქსიმე, ჭილოვანიდან საჩხერეში გადმოიყვანეს. სოფელ ბაჯითში, თავად ფალავანდიშვილისაგან ძმებს შეუძენიათ მიწები და სამოსახლო. სოფელში არის XII საუკუნის წმინდა სამების პატარა ეკლესია.

მაქსიმე ამ სოფელში დარჩენილა, ხოლო მათე დროებით გადასულა სოფელ კორბოულში სამოღვაწეოდ. 1810 წელს „შავ ჭირს“ მათე და მისი მეუღლე ემსხვერპლნენ. ამის შემდეგ, მაქსიმემ ძმისშვილები წამოიყვანა და მათივე მიწაზე დაასახლა.

დღეს უკვე ბაჯითში ტყემალაძეთა მეათე თაობა ცხოვრობს. უნდა ითქვას, რომ ამ სოფელში ჩვენი გვარის წარმომადგენლები გამოირჩევიან განათლებითა და ეკლესიურობით. სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ ჭიათურა-საჩხერის რაიონში, ორ საუკუნეზე მეტია, სასულიერო პირების უმეტესობას ტყემალაძეები წარმოადგენენ. მათ შორის საპატიო ადგილი უკავია მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძეს, რომელიც დაიბადა 1859 წელს, სოფელ ბაჯითში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კიევის სასულიერო აკადემია, იყო კუკიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი. 1897-1902 წლის 30 აგვისტომდე იყო ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, შემდეგ მოღვაწეობდა სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელთმსახურად. არჩეულ იქნა თბილისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარედ. 1905 წლის სექტემბრიდან, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, დაინიშნა საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად. 1916 წლის 25 დეკემბრიდან, პირველად საქართველოში, თეთრ სამღვდელოებაში მიენიჭა მიტრის ტარების უფლება. მონაწილეობდა საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის III-IV-V საეკლესიო კრებებში. 1932 წელს, საქართველოს პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) პროტოპრესვიტერის ხარისხით შემოსა. გარდაიცვალა 1937 წლის 13 მაისს, დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში.

პროტოპრესვიტერ მარკოზ ტყემალაძეს გამოცემული აქვს მრავალი ნაშრომი. მათ შორის ქადაგებათა კრებული „ხმა მწყემსისა“ (1913 წ.) და ისტორიული ნაშრომი – თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი (1904 წ.)

ყოველი წლის 10 ოქტომბერს, ჩვენი გვარის წარმომადგენლები ვიკრიბებით მის საფლავზე და აღვნიშნავთ ტყემალაძეთა გვარის დალოცვის დღეს.

ასევე, დიდი ღვაწლი მიუძღვის დეკანოზ სიმონ ტყემალაძეს დუშეთის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის რესტავრაციაში. 1917 წლიდან იგი ამავე ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ მრავალი წლის განმავლობაში.

1811 – 1921 წლებში მხოლოდ იმერეთში მოღვაწეობდა ტყემალაძეთა გვარის 17-მდე მღვდელი. საამაყოა, რომ დღესაც გვყავს გვარში სასულიერო პირები.

ტყემალაძეთა გვარის დალოცვა მოხდა 2010 წლის 10 ოქტომბერს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში. ჩვენი საგვარეულო ხატი „ივერიის ღვთისმშობლის“ სახელობისაა.

გვარის დალოცვამდე და მის შემდეგაც, დიდი შრომა გასწია ჩვენმა საგვარეულო კავშირმა. წინამძღოლად ამირჩიეს მე, მოადგილეებად აწ განსვენებულები – ცნობილი ფილოლოგი და ჟურნალისტი თამაზ ტყემალაძე და პოლკოვნიკი მიშა ტყემალაძე.

წლებია, რაც საგვარეულო ხატით დავდივართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ტყემალაძეთა ოჯახებში. უკვე მოვილოცეთ 300-მდე ოჯახი.

ვერ წარმოიდგენთ რაოდენ დიდი სიხარული და ბედნიერებაა ეს პროცესი. უნდა გითხრათ, რომ გვარიშვილები ურთიერთკონტაქტში ვართ და ვეხმიანებით ერთმანეთს ჭირსა და ლხინში. ვეხმარებით გაჭირვებულ ოჯახებს, ვზრუნავთ სოფლის კეთილდღეობაზე.

სიამაყით მინდა ჩამოგითვალოთ ტყემალაძეების გვარის გამოჩენილი ადამიანები, თუმცაღა ვშიშობ, რომ ყველას ვერ მოვიხსენიებ, საგაზეთო ფორმატის სიმცირის გამო.

აწ გარდაცვლილებიდან:

გალაქტიონ ტყემალაძე – ფოთის მერი, ნიკო ნიკოლაძის შემდგომ 7 წლის განმავლობაში ფოთის მერი იყო;

ტერენტი ტყემალაძე – ცნობილი მათემატიკოსი და არაერთი წიგნის ავტორი;

მარიამ (მარიჯან) ტყემალაძე მარკოზის შვილი – ცნობილი საბავშვო მწერალი;

კოლია მარკოზის ძე ტყემალაძე – პროფესორი, ცნობილი სამთო ინჟინერი;

კლავდია, მიშა და ვასიკო ტყემალაძეები – ექიმები;

ცოცხალთაგან გამორჩეულნი გვყავს:

გურამ ტყემალაძე – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი;

ზურაბ ტყემალაძე – საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, ცნობილი მეღვინე-მეწარმე;

გიორგი ტყემალაძე – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე,

რუსუდან ტყემალაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ინგლისური ენის სპეციალისტი;

მაია ტყემალაძე ჭიათურიდან – პოეტი და ხელოვანი;

ძმები ჯიმშერ და ბადრი ტყემალაძეები ხაშურიდან – თავისი სახსრებით სოფელ წაქვაში ააშენეს საკმაოდ დიდი ტაძარი, ეწევიან ქველმოქმედებას.

მალხაზ ტყემალაძე ჭორვილიდან – ბიზნესმენი და ქველმოქმედი, ჩემი მოადგილე საგვარეულო საკითხებში;

იუზა არჩილის ძე ტყემალაძე, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ვარ ტყემალაძეთა გვარის წინამძღოლი. სრულიად საქართველოს გვარების წინამღოლთა დარბაზის წევრი 2010 წლიდან;

2013 წელს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „წინაპართა ნაკვალევზე“, რომლის დამფინანსებელი და პროდიუსერი გახლავართ მე. ეს საინტერესო ფილმი შეგიძლიათ ნახოთ იუთუბზე, ამავე სახელწოდებით (რეჟისორი გიგი ფალავანდიშვილი).

ხშირად მიწვევენ სტუმრად გადაცემებში საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხზე. გამოშვებული მაქვს სოფელ ბაჯითში მცხოვრები ტყემალაძეების საგვარეულო სქემა 1800 წლიდან, ბაბუაჩემის ლუკა ტყემალაძისა და ბიძაჩემის ვახტანგ ტყემალაძის ნაშრომებზე დაყრდნობით.

2014-2017 წლებში თბილისიდან გადავედი საჩხერეში, რადგან ამირჩიეს რაიონის საკრებულოს დეპუტატად, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ. ამ ხნის მანძილზე, ჩემ სოფელში (და არა მარტო იქ) ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, განვახორციელე არაერთი სასიკეთო პროექტი (წყალი, გზა, სკოლა); დავნიშნეთ სამარშრუტო ავტობუსი, რესტავრაცია ჩაუტარდა XII საუკუნის ტაძარს, დღესაც ვაგრძელებ სოფლის დახმარებას სხვადასხვა პროექტების საშუალებით.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II- ის წვლილი, რომლის დალოცვითა და კურთხევით დაფუძნდა გვარების წინამძღოლთა დარბაზი. რამაც ხელი შეუწყო გვარების შეკავშირება-გაერთიანებას, ეროვნულ-მართმადიდებლური საქმის კეთებას.

ღმერთმა დალოცოს ქართული გვარები და სრულიად საქართველო!

იუზა ტყემალაძე,
ტყემალაძეთა გვარის წინამძღოლი.

რეგიონში საქართველოს როლი რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენი ქვეყანა, როგორც გამტარი დერეფანი, კიდევ უფრო დიდ დატვირთვას შეიძენს. ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ეს შესაძლებლობა გამოვიყენოთ.

„მოულოდნელი“ სტუმარი აზერბაიჯანიდან და გზავნილი თურქეთიდან

7-წლიანი პაუზის შემდეგ, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საქართველოს სამუშაო ვიზიტით მოულოდნელად ეწვია. მას საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა უმასპინძლა და ერთობლივ ბრიფინგზე საკმაოდ საინტერესო განცხადებები გაკეთდა. როგორც აღმოჩნდა, აზერბაიჯანის პრეზიდენტი საქართველოში კონკრეტული შეთავაზებებით ჩამოვიდა და მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა გააჟღერა.

ალიევის განცხადებით, **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის** მილსადენი კიდევ უფრო დაიტვირთება და ექსპორტისთვის, ბაქო-სუფსის ტერმინალის გამოყენება მოხდება. გეგმაშია ახალი ერთობლივი ენერგო პროექტებიც. **აზერბაიჯანის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ მსგავსი ვიზიტები ორი მოძმე ერის ურთიერთობების განმტკიცების საუკეთესო შესაძლებლობაა.**

მან ასევე რეგიონში არსებულ გამოწვევებსა და საქართველოს როლზე აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საკითხებზეც ისაუბრა. ირაკლი ღარიბაშვილმა კი კვლავ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნა, იყოს ინიციატორი მშვიდობიანი სამეზობლო პოლიტიკის შემუშავების კუთხით. თავის მხრივ ილჰამ ალიევმა, სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატში ჩართვის სურვილი ამჯერად საქართველოდან დაადასტურა.

სამუშაო ვიზიტის დასრულების შემდეგ, არაფორმალური ნაწილიც მცხეთაში, „შატო მუხრანში“ გაიმართა. სტუმრებმა ტრადიციული ქართული კერძების მომზადების პროცესში მიიღეს მონაწილეობა. დელეგაციის პატივსაცემად შესრულდა ქართული ცეკვები. ირაკლი ღარიბაშვილმა და ილჰამ ალიევმა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში დაცული აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ფოტო-ასლები დაათვალიერეს. „შატო მუხრანში“ პრემიერ-მინისტრმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს სადილზეც უმასპინძლა.

კონფლიქტოლოგი **ზურაბ ბენდიანიშვილი** მიიჩნევს, რომ ილჰამ ალიევის ვიზიტი საკმაოდ მოულოდნელი იყო და ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ალიევმა კარს მიღმა პრემიერ ღარიბაშვილთან სხვა თემებზეც ისაუბრა, რომელიც საჯაროდ არ ითქვა. კონფლიქტოლოგი მიიჩნევს, რომ ვიზიტი ალიევის ინიციატივით შედგა და დარჩა შთაბეჭდილება, რომ ის თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის გამოგზავნილია.

კონფლიქტოლოგი ამ ვიზიტს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ რეგიონში საქართველოს როლი რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენი ქვეყანა, როგორც გამტარი დერეფანი, კიდევ უფრო დიდ დატვირთვას შეიძენს. ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ეს შესაძლებლობა გამოვიყენოთ.

„ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო მნიშვნელობა არსებობდა, მაგრამ უკრაინის ომის შემდეგ კიდევ უფრო გაორმაგდა. რუსეთი არასანდო პარტნიორი გახდა, მათ შორის ელექტროდერეფნების მხრივ და ასევე სატვირთო გადაზიდვების კუთხით. ამიტომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი შანსი, რომ საქართველოს როლი რეგიონში კიდევ უფრო გაიზარდოს და აქედან ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა ეკონომიკური და ფინანსური ხეირი ნახოს. ალიევი ასეთი ინიციატივით პირდაპირ პირველი პირის დონეზე გამოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანისთვის და თურქეთისთვის საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა და ჩვენს გარეშე მათ ამ პროექტის განხორციელება ვერ წარმოუდგენიათ.

ალიევი 2015 წლის შემდეგ საქართველოში არ ყოფილა. ასეთი დონის შეხვედრებისთვის ჯერ გარკვეული სამუშაოები დიპლომატიის და ექსპერტების დონეზე ტარდება და ქვეყნის ლიდერის ვიზიტი შემდეგ ხდება. თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და მგონია ჩვენი ხელისუფლებისთვისაც ალიევის ვიზიტი მოულოდნელი იყო, მით უმეტეს არ იცოდნენ რა წინადადებით მოდიოდა. ეს ამ შეხვედრის და გაჟღერებული საკითხების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. მეორე მხრივ ეს იმას ნიშნავს, რომ აზრებაიჯანი ძალიან დაინტერესებულია ეს საკითხები დადებითად გადაწყდეს. ამიტომ ამ პროცესში ალიევი პირადად ჩაერთო. ეს არის დღესვე მოსაგვარებელი საკითხები“, — ამბობს კონფლიქტოლოგი.

„რას მოუტანს საქართველოს ალიევის შემოთავაზება და ეკონომიკური დატვირთვის გარდა, ექნება თუ არა ამას პოლიტიკური მნიშვნელობა, ამას მომავალი დაგვანახებს. ამ ეტაპზე კი, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თურქეთი კავკასიიდან რუსეთის გაყვანას ცდილობს, რაზეც კონფლიქტოლოგი ამბობს, რომ პორტების და ინფრასტრუქტურის განვითარება ძალიან დიდ პოტენციალს გვაძლევს და ეს აქამდე ჩვენვე უნდა გაგვეკეთებინა. „ალიევის მაგივრად ინიციატორები ჩვენ უნდა ვყოფილიყავით. თუმცა გვიანი არც ახლაა. ალიევის წინადადებას უნდა დავთანხმდეთ და აქედან დიდი სარგებელი მივიღოთ. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ძალიან დიდი ეკონომიკური სარგებლის მიღება შეგვიძლია. ეს ასევე საქართველოს უსაფრთხოებასაც გაზრდის, რადგანაც ნავთობსადენი საერთაშორისო პროექტია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ინტერესი საქართველოს და ამ პროექტის მიმართ რაც უფრო გაიზრდება, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაც გაიზრდება. რა თქმა უნდა, აქ ყველა ინიციატივა არც ალიევის მხრიდან არის გაჟღერებული, თურქეთთან არის შეთანხმებული. თურქეთი თანამშრომლობას რუსეთთანაც კი ახერხებს და მეორე მხრივ ფორსირებულად სამხრეთ კავკასიაში თავის გავლენას ზრდის. ამას აჩვენებს ყარაბაღის ომი, ასევე უკრაინის ომშიც ერდოღანი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ვნახეთ აზოვის პოლკის გათავისუფლებული მებრძოლები, რომლის მოლაპარაკებასაც ერდოღანი აწარმოებდა; მარცვლეულის უკრაინიდან უსაფრთხოდ გამოტანა და ახლა ალიევის საქართველოში ვიზიტი, რომელიც ზუსტად ვარ დარწმუნებული, რომ ჯერ ერდოღანთან შეთანხმდა. თურქეთი ცდილობს დრო არ დაკარგოს და შექმნილი ვითარებიდან მაქსიმალური „ამოქაჩოს“, ეს რეგიონი რუსეთს გამოგლიჯოს. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია უნდა დავაფიქსიროთ — კი ბატონო, ამ პროექტებში მონაწილეობა გვინდა, მაგრამ ყველა ასეთი წინადადება ჩვენს პარტნიორებთან ერთად უნდა განვიხილოთ. პირველ რიგში, ეს მათი სატრანსპორტო დერეფნებია და მათი ინტერესების გათვალისწინება უნდა მოხდეს“, — ამბობს **ბენდიანიშვილი.**

ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი, რონდელის ცენტრის მკვლევარი **კახა გოგოლაშვილი** ამბობს, რომ უკრაინა-რუსეთის ომმა რეგიონში არსებული რეალობა რადიკალურად შეცვალა. ამიტომ ყველა ამ ახალი რეალობის გამოყენებას ცდილობს. სწორედ აქ ხდება საქართველოს როლი მნიშვნელოვანი და ყველამ კარგად იცის, რომ აზია-ევროპის ბაზრის განვითარებისთვის აზერბაიჯანი და საქართველოა საჭირო. ეს არ არის ახალი იდეა, მაგრამ ამ ომმა ეს იდეა აქტუალური გახადა. გოგოლაშვილი ამბობს, რომ ამ მარშრუტზე ჯერ კიდევ შევარდნაძე და სწორედ ილჰ ამ ალიევის მამა მუშაობდნენ.

„ამ მომენტში, ალიევის მხრიდან ახალი, რაც აქამდე არ გაჟღერებულა, ელექტროენერგიის ექსპორტია. ალბათ, ალიევი თურქეთის მიმართულებიდან ევროპაში გადატანას გულისხმობდა. ეს სრულიად შესაძლებელია და საერთაშორისო ფონდების მოზიდვაც ძალიან მნიშვნელოვანია. ევროკავშირისთვის ელექტროენერგიის სტაბილურობის საკითხი უკრაინის ომის შემდეგ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. შესაბამისად, გაზის იმპორტი ევროკავშირს იმიტომ სჭირდება, რომ დიდი ნაწილი თბოენერგოსადგურებისთვის არის საჭირო. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანელები ფიქრობენ, რომ გაზის მაგივრად ევროპას ელექტროენერგია მიაწოდოს. ევროპაში ამაზე მომავალში მოთხოვნა გაჩნდება, რადგან რუსეთზე დამოკიდებულება უკვე შეამცირეს. რა თქმა უნდა, საქართველო, როგორც გამტარი ტერიტორია, აზერბაიჯანს სჭირდება. ჩვენ თურქეთთან 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი გვაქვს და შესაძლოა, დამატებით ენერგოქსელების შექმნა გახდეს საჭირო. არ არის გამორიცხული საუბარი ამ პროექტზე იყოს“, — ამბობს გოგოლაშვილი.

მოქმედებს თუ არა ალიევი ერდოღანთან ერთად და რა ინტერესები აქვს ახლა თურქეთს საქართველოსთან დაკავშირებით? როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს შემოთავაზება და რა სახის სარგებელს ვიღებთ ამ პროექტების განხორციელების შემთხვევაში? — გოგოლაშვილი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის პოზიცია ასეთ შემოთავაზებაზე, რა თქმა უნდა, დადებითი უნდა იყოს. ევროპა-აზიის ბაზრის განვითარება შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, საქართველოსთვის ყველაზე პრიორიტეტული იყო. ამიტომ აქ საერთოდ სხვა რამე ალტერნატივაზე საუბარი ზედმეტია.

„თუ ალიევის ვიზიტის მთავარი მიზანი ეს იყო და არ არსებობს რაიმე სხვა დამატებით შეთავაზებები, რისი გახმაურებაც საჯაროდ არ მოხდა, ამის წინააღმდეგი ქვეყანა არ უნდა იყოს. ევროპას მეტი გაზი სჭირდება და არაა გამორიცხული, საუბარი ამაზე ყოფილიყო. საუბარია, რომ თბილისი-ბაქო-ერზრუმის მეორე ხაზის გაყვანაც მოხდეს. რა თქმა უნდა, საქართველო ამ პირობებზე აზერბაიჯანთან უნდა შეთანხმდეს და რა სარგებელს მივიღებთ. ანუ მოგება რა დაგვრჩება და ა.შ. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამ მეორე ხაზის მშენებლობაზეც იყოს საუბარი. რაც შეეხება ერდოღანის ჩართულობას ალიევის ინიციატივებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ასეც იქნება. ეს პირიქით, ჩვენი ქვეყნისთვის მომგებიანია, რადგან თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების ყველაზე დიდი ქომაგია. ამიტომ მისი გავლენის კავკასიაში გაძლიერება, ჩვენ ყველაზე მეტად გვსურს და მეტ სარგებელს მოგვიტანს. რაც შეეხება ალიევის რამდენიმე კვირის წინ პოლონეთში გაკეთებულ შეთავაზებას, აზერბაიჯანი-საქართველო-სომხეთის სადისკუსიო ფორმატის შექმნას, ძალიან საინტერესო წინადადებაა, რაც რეგიონში ჩვენს პოლიტიკურ მნიშვნელობას გაზრდის“, — ამბობს **გოგოლაშვილი.**

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული ღარიბაშვილმა ალიევთან დახურულ კარს მიღმა ამ საკითხზეც ისაუბრა. გოგოლაშვილი ამბობს, რომ ესეც ძალიან კარგი წინადადებაა, რადგანაც ჩვენ სამს პლუს სამის ფორმატი არაფრით არ გვაწყობს. რაც შეეხება სამი ქვეყნის თანამშრომლობას, პოლიტკურ-ეკონომიკურ და სხვა საკითხების განვითარებას, ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ ეს ძალიან კარგი ინიციატივაა და მას აუცილებლად უნდა დავთანხმდეთ.

ლიკა ბერიკაშვილი

ისრაელმა ირანს ამერიკასთან უჩივლა

ისრაელმა სპეცსამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაცია აშშ-ს გადასცა, რომელიც უკრაინაში რუსეთის მიერ ირანული უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას ადასტურებს. ამის შესახებ ისრაელის პრეზიდენტმა იცხაკ ჰერცოგმა განაცხადა.

„ირანის იარაღი რეგიონში დესტაბილიზაციის საკითხში საკვანძო როლს ასრულებს“, — განაცხადა ჰერცოგმა ვაშინგტონში ვიზიტის დროს.

ისრაელის პრეზიდენტი ამბობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა ისწავლოს და ირანს „უკომპრომისო, შეთანხმებული და მტკიცე ენით“ ესაუბროს. ამ განცხადებების მიუხედავად, ისრაელი უკრაინისთვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდებაზე ჯერჯერობით უარს აცხადებს.

სპეცოპერაცია პალესტინაში

იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ისრაელელმა სამხედროებმა 6 პალესტინელი მოკლეს. კიდევ 21 ადამიანი დაიჭრა. ინციდენტი ქალაქ ნაბლუსაში მოხდა.

ერთ-ერთი დაღუპული 19 წლისაა.

პალესტინის წყაროების ცნობით, შეტევის დროს ისრაელელმა სამხედროებმა სნაიპერები და უპილოტო საფრენი აპარატები გამოიყენა.

თავის მხრივ ისრაელის სამხედროთა ინფორმაციით, ისინი ნაბლუსაში ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ სპეცოპერაციას ატარებენ.

2027 წლისთვის ჩინეთის არმია მსოფლიოში უძლიერესი იქნება!

16 ოქტომბერს, პეკინში, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობა გაიხსნა. ამ ამბავს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, როგორც ჩინელი, ისე, მსოფლიოს პოლიტიკური ანალიტიკოსები, თუმცა, მაინცდამაინც დიდ სურპიზებს არავინ ელოდა ამ დიდი ჩინური თავყრილობიდან. რადგან, ამ ბოლო დროს, ჩინეთმა შესამჩნევი პოლიტეკონომიკური წინსვლა განიცადა, ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა გასული ხუთწლედის რეალური შედეგები და ქვეყნის ხელმძღვანელობის სამომავლო გეგმები.

საერთაშორისო მასმედიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ყრილობა კარგად დადგმულ დიდ პოლიტიკურ სპექტაკლს ჰგავდა, რომლის მიზანი ჩინელი ხალხისა და მსოფლიოს დარწმუნება იყო, რომ ჩინეთის კომპარტია და მისი ლიდერი მყარად დგანან დასახული დიდი მიზნების მისაღწევად. ჯერ კიდევ, ყრილობამდე იყო გადაწყვეტილი, რომ სი-ძინ-პინი, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, კვლავ დარჩებოდა პარტიისა და ქვეყნის ლიდერად. ამით მაო-ძედუნის ნაანდერძევი ტრადიცია დაირღვა, რაც ყოველ 10 წელიწადში ქვეყნისა და პარტიის ლიდერის ცვლილებასა და პოლიტბიუროს წევრების 68 წლის ასაკში პენსიაზე გაშვებას ითვალისწინებს.

ამ გზით ხდებოდა ხოლმე ქვეყნისთვის შემდგომი განვითარებისთვის ბიძგის მიცემა და მისი მოდერნიზაცია. ახლა კი, ჩინეთში ნამდვილი ერთპიროვნული მმართველობა ჩამოყალიბდა. სი-ძინ-პინმა, ასევე, დაასამარა ჰუ-ძინ-ტაოს პოლიტიკური მმართველობის სტილი, რომლის მიხედვით, ჩინეთის კომპარტიას ერთი გავლენიანი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ახლა კი, მართვის ყველა სადავე სი-ძინ-პინის ხელში აღმოჩნდა. მაგრამ სი-ძინ-პინი მაინც მოერიდა ძველი გავლენიანი პირებისგან კრიტიკას და განაცხადა, რომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი 50 პროცენტით განახლდება და პოლიტბიუროშიც ახალი სახეები გამოჩნდებაო. ყრილობაც მან გახსნა, რა თქმა უნდა, როგორც ქვეყნისა და პარტიის ლიდერმა. მთავარი მოხსენებაც მისი იყო ყრილობაზე, რომელშიც ერთი სიტყვა დომინირებდა — უსაფრთხოება. 83-ჯერ წარმოსთქვა ეს სიტყვა!

სი-ძინ-პინი ყრილობას შეჰპირდა, რომ პარტია არასოდეს არ გადაუხვევს ხალხის მიერ არჩეულ გენერალურ ხაზს, და მომდევნო 5 წლის განმავლობაში, აი, ამ მთავარ მიმართულებებზე იმუშავებს: ნულოვანი კოვიდი, ანუ ქვეყნის მუდმივი ჩაკეტვა სიცოცხლის დასაცავად; ეკონომიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება, რაც ქვეყნის უსაფრთხოების უმთავრესი პირობაა; სიმდიდრის სწორი განაწილება ჩინელთა შორის საერთო კეთილდღეობისთვის; მსოფლიო ლიდერობა და განვითარების დასავლური მოდელის ალტერნატივად ქცევა; ტაივანთან გაერთიანება, რაც მშვიდობიანი გზით უნდა განხორციელდეს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, არც ძალის გამოყენებაა გამორიცხული.

ტაივანის საკითხის მოგვარება ჩინელი ხალხის საქმეა და გადაწყვეტილებასაც ჩინელი ხალხი მიიღებსო. ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა ახალი პოლიტიკური მოწოდების მიხედვით: საბაზრო ეკონომიკიდან საერთო კეთილდღეობამდე! ყრილობაზე აღინიშნა, რომ თანამედროვე არასტაბილურ დროში, კონკურენტი, ანუ სხვა ქვეყნების იმედი ჩინეთს აღარ უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომაა მისთვის პრიორიტეტი ჩინეთის ეკონომიკური უსაფრთხოება. ყველაფრის წარმოება ქვეყნის შიგნით, რომ ქვეყანა ყველასგან დამოუკიდებელი იყოს.

მომდევნო 5 წელი ჩინეთისთვის იქნება საკვანძო პერიოდი, რომელიც საფუძველს ჩაუყრის მოდერნიზებული სოციალისტური სახელმწიფოს ყოვლისმომცველ მშენებლობას. სი-ძინ-პინის თქმით, ჩინეთის ხელმძღვანელობის პრიორიტეტია 2027 წლისთვის არმიის გარდაქმნა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს შეიარაღებულ ძალად. როგორც დასავლელმა ანალიტიკოსმა ერთხმად აღნიშნეს, სი-ძინ-პინს ამ გრანდიოზული გეგმების რეალიზაცია ძალიან გაუჭირდება. პანდემიისა და დასავლეთთან დაპირისპირების გამო, ჩინეთის ეკონომიკა დიდად ვეღარ იზრდება. მას უკვე შეექმნა მრავალი პრობლემა.

ამიტომ, ჩინეთის ლიდერს მოუწევს არჩევანის გაკეთება: ან მსოფლიო ლიდერობა განვითარებისა და ეკონომიკის საკითხებში, ან ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსგავსება, ანუ მსოფლიო ლიდერობა ძალოვანი მეთოდებით. ჯერჯერობით, სი-ძინ-პინი შერეულ პოლიტიკას ეწევა, მაგრამ დროთა განმავლობაში, მას მაინც მოუწევს კონკრეტული გზის არჩევა. დასავლელი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ სი-ძინ-პინი მეორე, ანუ ხისტ გზას უფრო აირჩევს... გაამართლებს თუ არა ეს გზა, აქ და ახლა ნამდვილად ძნელი სათქმელია.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ჯუანშერ ბურჭულაძე: პატრიოტიზმის გააზრებაც კი რთულია. დღევანდელ ეპოქაში ჩვენი მთავარი ფუნქციაა, გავააზრებინოთ და გავაცნოთ ის შვილებს!..

გადაცემაში „თავისუფალი ხედვა“ თავდაცვის მინისტრმა ჯარის პოპულარიზაციის, წვევამდელებისა და რეზერვის სისტემასა და უწყების პრიორიტეტებზე საუბრისას, პატრიოტიზმის ცნებასა და პატრიოტულ სულისკვეთებასთან დასმულ კითხვებსაც უპასუხა.

თავდაცვის მინისტრის შეფასებით, თანამედროვე, გლობალიზაციითა და მატერიალიზმით აღსავსე სამყაროში, პატრიოტიზმის აღქმა და შეფასებაც განსხვავებულია.

„იდეალიზმი, სამწუხაროდ, უკანა ფონზე გადადის, ამაში ტექნოლოგიებიც გარკვეულ როლს ასრულებს, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ კარგად გავიაზროთ პატრიოტიზმის ცნება, კულტურა.

როდესაც გავიაზრებთ, შევიყვარებთ კიდეც. შესაბამისად, მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული, რომ ჩვენ მივიღოთ თაობა, რომელიც იქნება პატრიოტული გრძნობებით აღჭურვილი. ეს გლობალური თემაა, რაშიც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა“, — განაცხადა ჯუანშერ ბურჭულაძემ და განმარტა, რომ ამ პროცესში ავტორიტეტული ინსტიტუციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ამიტომ მათი დისკრედიტაცია მთლიანად პროცესს აზიანებს. მსგავსი ინსტიტუციების პატივისცემა, ავტორიტეტული ინსტიტუციების შექმნა მომავალ თაობასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე დადებით გავლენას მოახდენს.

აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ახალციხის ზონალურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში იმყოფებოდა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ახალციხის ზონალურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში იმყოფებოდა.

სტუმრები მიმდინარე სამუშაო პროცესსა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შესაძლებლობებს გაეცნენ. მხარეებმა ის სამუშაოები შეაჯამეს, რომელსაც სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია რეგიონებში ახორციელებს, საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებსაც.

„მოხარულები ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ადგილზე გაეცნო სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის საქმიანობას. ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, ამ თანამშრომლობის შედეგად კი, მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორმა, ირაკლი გულედანმა.

კელი დეგნანმა ლაბორატორიაში გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ჩართულობას პანდემიის კვლევასა და ტესტირებაში, ამასთანავე, ისაუბრა ლაბორატორიის როლზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების აღმოჩენისა და დიაგნოსტიკის მიმართულებით.

„ჩვენ მოხარული ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს ასეთი ლაბორატორიის ფუნქციონირებას“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

სამ პირს თაღლითობის ბრალდება წარუდგინეს

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაულის კიდევ ერთი ფაქტი გამოავლინა და ლატვიის რესპუბლიკის მოქალაქის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სამ პირს ბრალდება წარუდგინა.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ „ევრობანკ კვიპროსის“ სახელით მოქმედმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა სატელეფონო კომუნიკაცია დაამყარეს წარსულში ონლაინ-ვაჭრობით დაზარალებულ ლატვიის რესპუბლიკის მოქალაქესთან. ბრალდებულებმა თითქოსდა დაკარგული თანხების დაბრუნების და დამატებით მოგების მიღების პირობით, დაზარალებულს 26.320 ევრო და 6.500 აშშ დოლარი (95 723 ექვივალენტი ლარში), მათ მიერვე საქართველოში გახსნილ საბანკო ანგარიშებზე ჩააერიცხინეს. აღნიშნული თანხა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს.

„დანაშაულის ჩამდენ პირებს ბრალდება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარედგინათ.

პროკურატურამ ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით — პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს უკვე მიმართა. საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა პირების გამოვლენის და მხილების მიზნით“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

◎ ევროლიგა

ორი თვის შემდეგ

დღეს ქართული კალათბურთის ქომაგთათვის მნიშვნელოვანი ამბავია მოსალოდნელი — ორთვიანი მკურნალობის შემდეგ ბოლონიის „ვირტუსს“ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელია უბრუნდება, რომელმაც ტრავმა ევრობასკეტამდე ერთი კვირით ადრე „ჯვაროსანთა“ სამუნდიალო შესარჩევ შეხვედრაში ნიდერლანდებთან მიიღო.

მართალია, იტალიური გრანდის ლიდერის ტრავმა თავიდან შემაშფოთებლად ფასდებოდა, მაგრამ საბოლოოდ იგი ოპერაციას გადაურჩა და აპენინურ კლუბთან ახალ კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

რაც შეეხება ევროლიგის ჯგუფური ტურნირის მეხუთე ტურს, მისი მატჩი, არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდში „რეალთან“ გაიმართება, რომელსაც სტუმრები ერთადერთი გამარჯვებით ეწვევიან.

◎ ოვალური გუნდი

სერგო აბრამიშვილი ნაკრებში გამოიძახეს

ფრანგული „სტად ფრანსეს“ ბურჯი სერგო აბრამიშვილი შემოდგომის ტესტებისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს. ინფორმაცია ფრანგული გუნდის ვებ-გვერდმა გაავრცელა.

18 წლის მორაგბე „სტად ფრანსეს“ „ხვამლიდან“ შეუერთდა და მალევე შეძლო ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება, რის შედეგადაც რამდენიმე კვირის წინ ფრანგებმა მასთან კონტრაქტი სასწრაფო წესით გაახანგრძლივეს.

აბრამიშვილი „ბორჯღალოსნებში“ პირველად გამოიძახეს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ნოემბერში ურუგვაის (5 ნოემბერი), სამოასა (12 ნოემბერი) და უელსის ნაკრებებს (19 ნოემბერი) შეხვდება.

◎ ელიტაში

გოლუხვი სამშაბათი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ბოლოსწინა ტურმა სტარტი სამშაბათს აიღო და 8 შეხვედრაში 33(!), ანუ საშუალოდ თითოეულ მატჩში 4 გოლი გავიდა.

ბუნებრივია, ზოგიერთმა მწვრთნელმა, სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, თავის ლიდერებს დასვენების ფუფუნება მისცა, თუმცა ამას ზოგიერთ მაესტროზე, მაგალითად, მესიზე, უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. პირიქით — არგენტინელმა ვირტუოზმა დუბლი შეასრულა, ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ზუსტი დარტყმების რაოდენობა 129-მდე აიყვანა და 11 ბურთით ჩამორჩება კრიშტიანუ რონალდუს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პლეიოფს მიღმა დარჩა „იუვენტუსი“, დანარჩენს კი საოქმო მონაცემებიდან შეიტყობთ.

„ე“ ჯგუფი. „ზალცბურგი“, „ჩელსი“ 1:2, ზაგრების „დინამო“ — „მილანი“ 0:3.

სატურნირო მდგომარეობა: „ჩელსი“ — 10, „მილანი“ — 7, „ზალცბურგი“ — 6, ზაგრების „დინამო“ — 4 ქულა.

„ვ“ ჯგუფი: „ლაიფციგი“ — „რეალი“ 3:2, „სელტიკი“ — „შახტარი“ 1:1.

სატურნირო მდგომარეობა: „რეალი“ — 10, „ლაიფციგი“ — 9, „შახტარი“ — 6, „სელტიკი“ — 2 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „დორტმუნდი“ — „კოპენჰაგენი“ 3:0 (**დავით ხოჭოლავა** მინდვრიდან გააძევეს).

სატურნირო მდგომარეობა: „სიტი“ — 11, დორტმუნდი“ — 8, „სევილია“ — 5, „კოპენჰაგენი“ — 2 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „ბენფიკა“ — „იუვენტუსი“ 4:3, „პარი სენ-ჟერმენი“ — „მაკაბი“ 7:2.

სატურნირო მდგომარეობა: „პარი სენ-ჟერმენი“, „ბენფიკა“ — 11-11, „იუვენტუსი“, „მაკაბი“ — 3-3 ქულა.

◎ კორტზე

ნადალი პარიზის მასტერსზე დაბრუნდება

რაფაელ ნადალის მწვრთნელი კარლოს მოია ამბობს, რომ ესპანელი ჩოგბურთელი პარიზის მასტერსის სერიის ტურნირზე ითამაშებს და შემდეგ სეზონის დამამთავრებელ ATP-ს ფინალშიც გამოვა.

ნადალს ამ სეზონში არაერთხელ ჰქონდა ტრავმული პრობლემა, როლან გაროსზე ტკივილგამაყუჩებლებით ითამაშა და ამის მიუხედავად, ამ ტურნირის მე-14 ტიტული მოიპოვა. პარიზში მას ტერფის პრობლემა ჰქონდა, უიმბლდონზე თამაში კი მუცლის კუნთის ტკივილის გამო შეწყვიტა.

აშშ-ის ღია პირველობაზე ამერიკელ ფრენსის ტიაფოსთან წაგების შემდეგ მან განაცხადა, რომ პრობლემები აქვს მოსაგვარებელი და არ იცის, როდის დაუბრუნდება კორტს.

რეიტინგში მეორე საფეხურზე მყოფ ნადალს დიდი სლემის 22 ტიტული აქვს მოპოვებული. ახლახანს მას პირველი შვილი შეეძინა.

მოია ამბობს, რომ მისი შეგირდი პარიზში, ბერსის კორტებზე მასტერს 1000-ის ტურნირზე ითამაშებს, რომელიც არასდროს მოუგია. ეს მისთვის ATP-ს ფინალისთვის ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნება. ATP-ს ფინალი ტურინში 13-20 ნოემბერს გაიმართება.

„ტურინში ჩასვლამდე პარიზში თამაშია საჭირო, რადგან ორივე ტურნირზე მსგავს კორტებზე გიწევს თამაში. რაფა ყველგან კონკურენტუნარიანია“, — ამბობს მოია.

გარდაიცვალა ალპური იმპერიის შემქმნელი

ავსტრიელი მილიარდერი, ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი, „რედ ბულის“ თანადამაარსებელი დიტრიხ მატეშიცი 78 წლისა გარდაიცვალა. ის კიბოთი იყო ავად.

შტირიაში დაბადებულმა ბიზნესმენმა ენერგეტიკული სასმელების მწარმოებელი გლობალური იმპერია შექმნა. მისი ქონება 25 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული, რითაც „ფორბსის“ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში 51-ე ადგილი ეკავა.

მატეშიცი მარკეტინგის გენიად არის აღიარებული. მან წარმატებას დიდი მონდომების და ბევრი შრომის წყალობით მიაღწია. ვენის მსოფლიო ვაჭრობის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1970-იან წლებში იგი სხვადასხვა კომპანიაში მარკეტინგის სპეციალისტის რანგში მუშაობდა.

მატეშიცს ხშირად უწევდა მოგზაურობა აზიაში, სადაც ენერგეტიკული და მასტიმულირებელი სასმელების ბაზარს გაეცნო. იმ დროს ასეთი სასმელების შესახებ ევროპასა და შეერთებულ შტატებში არაფერი იცოდნენ. ალღოიანმა მარკეტოლოგმა აზიაში 1983 წელს შეისყიდა ასეთი სასმელის წარმოების ლიცენზია. ერთი წლის შემდეგ, ტაილანდელ ბიზნესმენ ოჯახ იოოვიდიასთან ერთად, ჩამოაყალიბა კომპანია „რედ ბული“, რომლის 49 პროცენტსაც თავად ფლობდა.

მოგვიანებით მატეშიცმა ენერგეტიკული სასმელის მოდიფიცირება განახორციელა და შეიმუშავა საბაზრო კონცეფცია, რის შემდეგაც, 1987 წელს ბაზარს „რედ ბული“ წარუდგინა. ახალი სასმელი მალე გახდა პოპულარული ჯერ ევროპაში, შემდეგ ამერიკასა და მთელ მსოფლიოში, თუმცა დასაწყისი იოლი არ ყოფილა. შარშან ჯგუფის ბრუნვამ 7.8 მილიარდ ევროს მიაღწია, სულ კი მსოფლიოში 9.8 მილიარდი ქილა „რედ ბული“ გაიყიდა.

◎ დანაკარგი

მატეშიცის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა შეერთებული შტატების ბაზარზე შელწევა იყო, რაც 1990-იანი წლების მიწურულს მოხდა. ეს კომპანიის ექსპანსიის მთავარი მომენტი იყო. თვალსაჩინოებისთვის, ამჟამად „რედ ბულის“ მიერ გაყიდული სასმელის დაახლოებით მესამედი სწორედ აშშ-ზე მოდის.

მატეშიცმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საკუთარი კომპანიის იმიჯის შემუშავებას. დღეს „რედ ბული“ დაკავშირებულია სპორტის სათავგადასავლო სახეობებთან, როგორებიცაა სერფინგი, სამთო ველოსიპედი, სამთო-სათხილამურო და საავიაციო სპორტი და, რა თქმა უნდა, ავტო-მოტო სპორტი, მათ შორის კი მთავარი ფორმულა 1-ია.

მატეშიცმა ჩაუყარა საფუძველი „რედ ბულის“ ფორმულა 1-ის გუნდ „რედ ბულ რეისინგს“, რომელიც ინგლისში, მილტონ კინსშია ბაზირებული.

მატეშიცი იშვიათად იძლეოდა ინტერვიუებს და არც მედიის წინაშე გამოჩენა უყვარდა. ის თავის გერლფრენდთან ერთად ზალცბურგში ცხოვრობდა. ერთხელ, წლების წინათ განაცხადა, რომ დღეში 10-12 ქილა „რედ ბულს“ სვამდა.



ყოველგვარი ნახაზების გარეშე

თანამედროვე მაღალსართულიანი ქალაქების სატრანსპორტო საშუალებებს შორის ლიფტი უპირველესი რომაა, ამაზე, ალბათ, არავინ იკამათებს.



ფირმა „ოტისის“ პირველი ელექტრული ლიფტი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცათამბჯენში 1889 წელს ამოქმედდა.

ლიფტის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს: ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის წერილობით წყაროებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა ამწე პლატფორმები, რომელთაც ერთ ჯერზე ასეული კილოგრამის წონის ტვირთის აზიდვა შეეძლოთ საკმაოდ დიდ სიმაღლეზე.



ჩვენამდე მოღწეულია ანტიკურ რომაული „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“, რომლის ბოლო ტომში მოთხრობილია ამწე მანქანების შესახებ. სავალალოდ ცნობილ ქალაქ ჰერკულანუმში ჩატარებული გათხების დროს, რომელიც, პომპეის დარად, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა, ხელის ამწეს (იგივე ლიფტის) ნარჩენები ნახეს, რომლითაც სამზარეულოდან კერძებს სატრაპეზოში აწვდიდნენ.

იმპერატორი ნერონი ცნობილია თავისი გონიერების ზღვარგადასული ქმედებებით. მკვლევართა მტკიცებით, 12 ლიფტი მოქმედებდა. გარდა ამისა, იქ დამონტაჟებული იყო შახტი-ხაფანგები, საიდანაც ყველასთვის მოულოდნელად — გლადიატორებისთვისაც და მაყურებლისთვისაც — ველური მტაცებელი ცხოველები ამოდიოდნენ აღმოსავლეთში, მათ შორის ჩინეთში, მდინარეებიდან წყლის ამოსაქაჩად, გლეხები ოდითგანვე იყენებდნენ ლიფტის პრინციპით მოქმედ საშხაპეებს.

ისე კი, უნდა ითქვას, რომ უწინ ლიფტები (თუ ამწეები), ძირითადად, გვირგვინოსანთა პრივილეგია უფრო იყო, ვიდრე ფართოდ გავრცელებული მექანიზმი.

ისტორიკოსების აზრით, პირველი „სამგზავრო ლიფტი“ 1743 წელს, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკი XV-ის ვერსალის სასახლეში ამოქმედდა. სამეფოში ამ ერთადერთი „სატრანსპორტო საშუალების“ დანიშნულება კი საგანგებო სავარძელში დაბრძანებული მონარქის... საყვარლის საძინებელში აყვანა იყო, რომელიც ერთი სართულით მაღლა იყო განთავსებული.



თანამედროვე, ჩქაროსნული, მძლავრი და კომფორტული ლიფტების „მამა“ კი 1811 დაბადებული **ელაიშა გრეივს ოტისი** გახლავთ, ამ კაცმა ცხოვრებაში მრავალი პროფესია გამოიცვალა, ძალიან უჭირდა და 34 წლის ასაკში მარტოხელა მამა (მას რვა ვაჟიშვილი ჰყავდა!), ნიუ-იორკიდან, ოლბანიში გადაბარგდა, სადაც საწოლების კარკასების დამამზადებელ ფირმაში დაიწყო მუშაობა. ამწეების პრობლემას კი იგი მაშინ წააწყდა, როცა ახალი შენობის აგებაზე პასუხისმგებელი გახადეს. მას მოუწია ზედა სართულზე ფიცრების ასაზიდი მოწყობილობის გამართვა და სწორედ მაშინ იყო, რომ თავისი საკვანძო გამოგონება გააკეთა: **რესორის მსგავსი ბრტყელი ზამბარის მეშვეობით, მან გვარლი ამწის პლატფორმას მიამაგრა, გვერდებში კი დაკბილული ლიანდაგები ჩაუყენა. ცარიელა პლატფორმის წონის სიმძიმითაც კი, ზამბარა იშლებოდა და ლიანდაგებს შორის გადიოდა.**

გვარლის გაწყვეტის შემთხვევაში ზამბარა იშლებოდა და თავისი ბოლოებით ლიანდაგების კბილანებში იჭედებოდა, რის წყალობითაც ქვევით აღარ ვარდებოდა და დამჭერებზე რბილად ჯდებოდა.

გამოგონება დიდებული იყო და, მართალია, კომპანია, სადაც მისტერ ოტისი მუშაობდა, გაკოტრდა, მაგრამ ბედმა მაინც გაუღიმა გამრჯე კაცს: მეზობელ ფაბრიკებში მისი გამოგონების ამბავი შეიტყვეს და მას რამდენიმე უსაფრთხო ლიფტის შექმნა შეუკვეთეს. თუმცა ჭეშმარიტი აღიარება, ელაიშა ოტისმა ნიუ-იორკში გამართულ ჩვენებაზე მოიპოვა, სადაც გაოცებული პუბლიკის თვაწლინ, იგი ღია დატვირთულ პლატფორმაზე დადგა, მისმა თანაშემწემ კი ნაჯახით ფოლადის გვარლი გადაჭრა, მაგრამ პლატფორმა ძირს მაინც არ დაეცა და მესამე სართულზე გაჩერდა...



ისტორიკოსების აზრით, პირველი „სამგზავრო ლიფტი“ 1743 წელს, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკი XV-ის ვერსალის სასახლეში ამოქმედდა.

შემდეგ მან ლიფტების წარმოების თავისი ბიზნესი წამოიწყო — ფირმა „ოტისის“ პირველი ელექტრული ლიფტი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცათამბჯენში 1889 წელს ამოქმედდა. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე მაღალ ცათამბჯენში „სირს თაუერში“ 106 ლიფტი მოქმედებს, რომელთაგან 16-ორსართულიანია, ანუ მგზავრები ერთდროულად ორ სართულზე შედიან და გამოდიან, ცათამბჯენის სახურავზე განთავსებული პანორამული მოედნის მნახველები კი 412 მეტრის სიმაღლეზე ორ ლიფტს წუთსა და რვა წამში აჰყავს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თავიანთ მოწყობილობაზე ელაიშა ოტისი მეტად ორიგინალურად მუშაობდა — იგი არასდროს იყენებდა კულმანს, არ ხაზავდა პროექტებსა და წინასწარ ესკიზებსაც კი არ აკეთებდა!

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

როცა კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია!

(მეორე გვერდიდან)

რაც შეეხება აზერბაიჯანის პრეზიდენტის ანონსს, რომ ბაქო-ახალქალაქი-ყარსის მიმართულების გაძლიერების მიზნით, მომავალ წელს ფინანსები გამოიყოფა, გოჩავა, მისი შეფასებით, მნიშვნელოვან გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაწილეობით, უნდა შეიქმნას ერთობლივი საწარმო ამ ინფრასტრუქტურის მართვის მიზნით. ეს ფაქტობრივად საერთაშორისო კომპანია იქნება. აქ ძალიან მნიშვნელოვანია წილთა გადანაწილება, რაც ხელშეკრულების ხასიათზე იქნება დამოკიდებული; გვექნება თუ არა შესაძლებლობა, ქართულმა მხარემ მოვიზიდოთ უცხოელი ინვესტორები. ეს სერიოზული თემაა იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლოა, შესაძლებელი გახდეს ამ სეგმენტში დასავლური (ევროპის, აშშ-ის) კაპიტალის მოზიდვა. ამ კომპანიის შექმნის გაჭიანურება მხოლოდ აზერბაიჯანს აძლევს ხელს, რადგან თავად განსაზღვრავს სატარიფო პოლიტიკას: მაგალითად, უახლესი კვლევის მიხედვით, იგივე ჩინეთიდან საქართველოს პორტებამდე ტვირთის გადაზიდვის ტარიფის ნახევარი „მიაქვს“ კასპიის ზღვას, შესაბამისად, ბაქოს, როგორც კასპიის ზღვაზე მონოპოლისტს. დანარჩენ ნახევარს ინაწილებენ საქართველო, ყაზახეთი და ისევ აზერბაიჯანი. ჩვენ არ გვაქვს უფლება, კასპიის ზღვაზე ჩვენი ბორანი გვქონდეს. ჯამში, დერეფანი შესაძლოა, კონკურენტუნარიანი გახდეს, მაგრამ იმ პოლიტიკით, რომელიც ამჟამად ხორციელდება, წამყვან პოზიციაში ბაქო იქნება“.

ინფრასტრუქტურული პროგლემების კონტექსტში ასახელებს გოჩავა ღრმაწყლოვანი პორტის არარსებობასაც:

„ღრმაწყლოვანი პორტის გარეშე განვითარება შეუძლებელია — საქართველოს პორტებში უნდა შემოვიდეს მძიმეტონაჟიანი გემები და ანაკლიის პორტი ერთ-ერთი გამოსავალია. დერეფანში, რომელსაც ჩინეთიდან წამოსული ტვირთნაკადი გაივლის, 11 ქვეყანაა ჩართული, თუმცა მათგან ღია ზღვაზე გასასვლელი მხოლოდ ჩინეთს და პაკისტანს აქვთ. ევროპის მიმართულებით ჩვენ ვართ მათთვის ღია ზღვაში გასასვლელი ქვეყანა და ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ღრმაწყლოვანი პორტი: როგორც ჩანს, ირანთან ბირთვული შეთანხმება არ დაიდება, ის რჩება სანქციების ქვეშ და ეს მიმართულება დაიკეტა, ჩაიკეტა რუსეთის მიმართულებაც — გადაზიდვები ხორციელდება, მაგრამ კომპანიები ნელ-ნელა თავს არიდებენ სანქციების ქვეშ მოხვედრას და ეძებენ ალტერნატივას. ეს ალტერნატივა ჩვენი მიმართულებაა, ჩვენ კი აუცილებლად გვჭირდება ღრმაწყლოვანი პორტი!“.

ჯამში სპეციალისტები თანხმდებიან, რომ რეალობაში, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო ყალიბდება, ქვეყანას ახალი შესაძლებლობები ეხსნება პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულებით და ახლა ჯერი თბილისზეა, რამდენად ეფექტურად ისარგებლებს მოცემულობით. ამასთან, პროცესზე დამკვირვებელთა ნაწილი ეჭვობს, რომ საქართველო ღია პოზიციონირებას თავს არიდებს, მათ შორის, საერთაშორისო პროექტების კონტექსტში და შესაძლოა, ალიევის დაუანონსებელი ვიზიტიც ამასთან იყოს კავშირში, ააჩქაროს რა პროცესი.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲡ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲐᲓᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲜᲝᲡᲡ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲐ.



ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ „ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ“ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ 30-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ, ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ �თᲔᲐᲢᲠᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲐᲓᲘᲡᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲐᲗᲘᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲡ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚ **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲐᲓᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲜᲝᲡᲡ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲐ.**

ᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲗᲐᲠ�გᲛᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ „ᲕᲙᲕᲓᲔᲑᲘ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ“ �გᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲡ. ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ �გᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ ᲥᲔᲗᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔᲛᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲛᲐ ᲬᲔᲚᲡ ᲛᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲜᲝᲡᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐᲓ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲔᲚᲔᲕᲡᲘᲜᲨᲘ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲐ. ᲔᲚᲔᲕᲡᲘᲜᲘ 2023 ᲬᲔᲚᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲓᲔᲓᲝᲐᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

MERSEDES-BENZ-ᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲰᲝᲚᲓᲘᲜᲒᲘ“, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ Mersedes-Benz-ᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ. „ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘ“ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ „ᲠᲔᲜᲝᲛ“ ᲓᲐ „ᲜᲘᲡᲐᲜᲛᲐ“ ᲒᲐᲧᲘᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ. ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ „ᲢᲝᲘᲝᲗᲐᲡ“ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ.

ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲜᲔᲜ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ, SpaceX-ᲘᲡ ᲓᲐ Teslaf-ᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲛᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲔ-13 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ �გᲐᲠᲔ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲡ ᲘᲓᲘᲝᲢᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲧᲕᲘ ᲣᲬᲝᲓᲐ.

ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲒᲠᲝᲡᲛᲐᲘᲡᲢᲔᲠᲐᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ. ᲛᲐᲡᲙᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲡ, ᲠᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲛᲐ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ:

„ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ �თᲣ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ „ᲡᲘᲚᲘᲙᲝᲜᲘᲡ ᲛᲓᲔᲚᲝᲖᲔ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲘᲚᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ? ᲔᲡ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲓᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ �გᲔᲝ�პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲑᲠᲛᲐᲕᲔᲑᲐ“, — ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲛᲐ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲘᲤᲝᲜᲘ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲨᲘ ᲙᲘ ᲘᲡ ᲘᲓᲘᲝᲢᲘᲐ“.

„ᲛᲔ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲕᲘᲚᲐ, ᲨᲔ ᲑᲠᲘᲧᲕᲝ“, — ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲛᲐᲡᲙᲛᲐ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲡ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲘᲚᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲔᲠᲝ ᲒᲐᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ ᲧᲘᲠᲘᲛᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲓᲐᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲝᲡ. ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲛᲐᲡᲙᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ.

ADIDAS-Ი ᲒᲛᲝᲑᲡ ᲐᲜᲢᲘᲡᲔᲛᲘᲢᲘᲖᲛᲡ?



ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Adidas-მᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲠᲔᲞᲔᲠ ᲙᲐᲜᲘᲔ ᲣᲔᲡᲢᲗᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲣᲔᲡᲢᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲡᲔᲛᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ.

„Adidas-Ი ᲐᲠ ᲛᲝᲘᲗᲛᲔᲜᲡ ᲐᲜᲢᲘᲡᲔᲛᲘᲢᲘᲖᲛᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ. ᲘᲔᲡ (ᲣᲔᲡᲢᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ) ᲑᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ. ᲔᲡ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲕᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ �გᲐᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ ᲘᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ ᲑᲠᲔᲜᲓ Yttp.-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ“, — ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

Adidas-Ი ᲣᲔᲡᲢᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲮᲐᲖᲡ Yttp. ᲣᲨᲕᲔᲑᲓᲐ. ᲠᲔᲞᲔᲠᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᯖᲔᲠ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ �წᲘᲜ, ᲣᲔᲡᲢᲛᲐ Twiter-ᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ „ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝ ᲠᲔᲟᲘᲛ 3-ᲨᲘ“ ᲒᲐᲓᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲞᲔᲠ ᲨᲝᲜ ᲙᲝᲛᲑᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲔᲜ.

ᲡᲘᲨᲘᲨᲕᲚᲔ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲞᲔᲜᲡᲔᲠ ᲢᲣᲜᲘᲙᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ „ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ“ ᲤᲝᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲔᲘᲫᲔᲑᲡ.

ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ 26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ, ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲤᲝᲜᲓᲗᲐᲜ Skin Check Champions ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲪ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲐ.

ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ 2 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ. ᲔᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲗᲘ 2 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲢᲣᲜᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ. 2010 ᲬᲔᲚᲡ, ᲙᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ 5 500 ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲚᲦᲝ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲐᲡ ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲑᲐᲜᲐᲕᲘᲐ...

**ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔ